პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР
გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 227 (15137)
2 ოქტომბერი შაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

## გაუმარჯოს საქართველოს სახელოვან კომკავშირს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 1971 წლის 1 ოქტომბერი. საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის საზეიმო პლენუმი, მიძღვნილი რესპუბლიკის კომკავშირის 50 წლისთავისადმი. ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. მჟავანაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

## საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალურ კომიტეტს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ ულოცავს ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელებს, ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს დიდ დღესასწაულს — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავს. ეს სახელოვანი იუბილე მიმდინარეობს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების ნიშნით, რის შედეგადაც რესპუბლიკაში მიღწეულია დიდი წარმატებანი, ახალი მნიშვნელოვანი აღმავლობა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლებში, გააფთრებულ კლასობრივ ბრძოლებში გამოწრთობილი საქართველოს კომკავშირი ყოველთვის იყო პარტიის აქტიური თანაშემწე და საიმედო რეზერვი, პირნათლად ასრულებდა ლენინის ანდერძს, ცხოვრობდა, იბრძოდა და მუშაობდა ლენინურად, ზრდიდა ახალგაზრდობას მაღალი იდეურობისა და კომუნისტური რწმენის სულისკვეთებით.

საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და შრომის მატიანეში ოქროს ასოებით ჩაწერილია საქართველოს კომკავშირის გმირული საქმეები, რომლებითაც თავი ისახელა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე.

დღეს საქართველოს ლენინური კომკავშირი თავის რიგებში აერთიანებს ნახევარ მილიონზე მეტ ქალიშვილსა და ჭაბუკს — 60-ზე მეტი ეროვნების ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებს, ზრდის მათ სამშობლოსადმი სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულების, ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, მთელ თავის საქმიანობას წარმართავს მოზარდი თაობის კომუნისტური მრწამსისა და მორალის ჩამოყალიბებისათვის. საქართველოს კომკავშირელები გამოირჩევიან მაღალი კომუნისტური რწმენით, დიდი შრომითი ენთუზიაზმით და სულ უფრო მზარდი საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლენინურ კომკავშირს დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ თანამედროვე პირობებში სულ უფრო იზრდება კომკავშირის — პარტიის რეზერვისა და მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდაში მისი უახლოესი თანაშემწის — როლი და მნიშვნელობა.

პარტია მოუწოდებს კომკავშირს კვლავაც ზრდიდეს ახალგაზრდობას კომუნისტური იდეურობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის, მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინიანობის სულისკვეთებით, ახალგაზრდობაში ეწეოდეს სოციალისტური წყობილების მიღწევათა და უპირატესობათა აქტიურ პროპაგანდას, იღვწოდეს იმისათვის, რომ თვითეული ახალგაზრდა იყოს ახალი საზოგადოების აქტიური მშენებელი.

საქართველოს კომკავშირის მოვალეობაა უფრო ფართოდ ჩააბას ქალიშვილები და ჭაბუკები საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, დარაზმოს ახალგაზრდობა სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად, რათა ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობდნენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, რომელიც ახლა ახალი ძალით გაიშალა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს საქართველოს კომკავშირის დიდ დამსახურებას რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობაში და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი კვლავაც იქნება პარტიულ ორგანიზაციათა მებრძოლი თანაშემწე კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებაში.

გაუმარჯოს საქართველოს კომკავშირს — ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს, კომუნისტთა პარტიის ერთგულ თანაშემწესა და საიმედო რეზერვს!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავის დღეს ჩვენ, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის საზეიმო პლენუმის მონაწილენი, რესპუბლიკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის სახელით უდიდეს მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომლებიც ნამდვილ მამობრივ ზრუნვას იჩენენ საბჭოთა ახალგაზრდობისათვის.

ღირსშესანიშნავ დროს ვზეიმობთ ჩვენს ნახევარი საუკუნის იუბილეს. მიმდინარე წელი აღნიშნულია დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით ახალგაზრდობის ცხოვრებაში, რომელიც, რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად, უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში შეხვდა სკკპ XXIV ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს.

სამშენებლო მოედნებზე, ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რესპუბლიკის ქალიშვილები და ჭაბუკები ამრავლებენ უფროს თაობათა სახელოვან ტრადიციებს და აღწევენ შესანიშნავ შრომით წარმატებებს.

პარტიის XXIV ყრილობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა, ლენინურმა კომკავშირმა, როგორც პარტიის რეზერვმა და უახლოესმა თანაშემწემ მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდასა და ახალი საზოგადოების მშენებლობაში, მაღალი შეფასება მიიღო.

საქართველოს კომკავშირელები, ჩვენი რესპუბლიკის ქალიშვილები და ჭაბუკები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა, გულის სიღრმემდე აღელვა ამ მაღალმა შეფასებამ და იმ დიდმა ნდობამ, რომელსაც პარტია უცხადებს კომკავშირს.

ჩვენ ყველას შესანიშნავად გვესმის, ყველას ღრმად გვაქვს შეგნებული, რომ ეს მაღალი შეფასება, ეს დიდი ნდობა ბევრ რამეს გვავალებს, მოგვიწოდებს ახალი მიღწევებისათვის, ახალი სახელოვანი საქმეებისათვის ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

პარტიის XXIV ყრილობის შემდეგ რესპუბლიკის კომკავშირელები იყვნენ ბევრი პატრიოტული წამოწყების ინიციატორები, რომელთაგან თვითეული მკაფიოდ მოწმობს ჩვენი ახალგაზრდობის მაღალ პოლიტიკურ შეგნებულობასა და იდეურ სიმწიფეს, მის შრომით ენთუზიაზმს, მზადყოფნას — შეასრულოს პარტიის ყოველი დავალება.

ახლა საქართველოს კომკავშირელები აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ამ შეჯიბრებაში, მოძრაობაში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის აბამენ ახალგაზრდობის ფართო მასებს, ზრდიან ქალიშვილებისა და ჭაბუკების შემოქმედებით აქტივობას, იბრძვიან საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმისა და ყაირათიანობისათვის.

საქართველოს ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობათა ესტაფეტა ჩვენი ახალგაზრდობის შრომითი აქტივობის საბრძოლო დათვალიერებად გადაიქცა. მარტო რესპუბლიკური კომკავშირულ-ახალგაზრდული შაბათობის დღეს, რომელიც იუბილეს წინ მოეწყო, მეცხრე ხუთწლედის ფონდში გადარიცხულია ერთ მილიონ მანეთზე მეტი.

საქართველოს კომკავშირი შეფობას უწევს მეცხრე ხუთწლედის უდიდეს მშენებლობებს — ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის პირველი ელექტროსადგურისა და კასკადის, ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის, ფაიფურ-ქაშანურის ქარხნის მშენებლობებს. რესპუბლიკის ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში, რომელიც გამოცხადებულია სრულიად საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობად.

ამ ბოლო წლებში საქართველოს ორი ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი წავიდა კომკავშირული საგზურებით ვოლგის საავტომობილო, ყარაგანდის მეტალურგიული ქარხნების, ულიანოვსკის ლენინის მემორიალური ცენტრისა და სხვა ობიექტების მშენებლობაზე, რესპუბლიკის სამი ათასზე მეტი სტუდენტი შრომობდა ყაზახეთის ყამირ მიწებზე.

რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდები ცხოვრობენ და შრომობენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების ნიშნით, რომელმაც დაგვისახა ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების დიდებული პროგრამა. ჩვენ ვიცით, რომ პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულება ჩვენგან მოითხოვს ახალ ძალასა და ენერგიას, საფუძვლიან ცოდნას, და ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ღირსეული წვლილი შევიტანოთ პარტიის გეგმების განხორციელებაში, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

საქართველოს კომკავშირი — სრულიად საკავშირო ალკკ ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი — მთელი თავისი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ცხოვრობს, შრომობს და იბრძვის პარტიის ხელმძღვანელობით, ყოველთვის იყო და ახლაც არის კომუნიზმის მშენებელ მებრძოლთა პირველ რიგებში.

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ილიჩის ანდერძის ერთგული რესპუბლიკის კომკავშირი, მთელი ახალგაზრდობა კვლავაც იქნებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის აქტიური თანაშემწეები, მისი საიმედო, მებრძოლი რეზერვი.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — კომუნიზმისათვის ბრძოლაში ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის საზეიმო პლენუმის მონაწილენი.

## ერთგულებას გეფიცებით, პარტიავ!

### საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის საზეიმო პლენუმი

□

**1 ოქტომბერს** საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის საზეიმო პლენუმი, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის კომკავშირის 50 წლისთავს.

საკონცერტო დარბაზი საზეიმოდ არის მორთული. უკანა პლანზე ამაყად ფრიალებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ალამი, რომელსაც ამშვენებს სამი მაღალი ჯილდო — ორი ლენინის ორდენი და ოქტომბრის რევოლუციის ორდენი. შუაშია ხალხთა დიდი ბელადის ვ. ლენინის ბარელიეფი და იქვე ოქროსფრად ბრწყინავს სიტყვები „საქართველოს კომკავშირი 50 წლისაა“.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები **შ. კიკნაძე, ო. ლოლაშვილი, ვ. მჟავანაძე, ნ. ცხაკაია, გ. ძოწენიძე, შ. ჭანუყვაძე, რ. მეტრეველი, თ. მოსაშვილი, ჯ. პატიაშვილი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე **ი. პუგაჩოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ვ. ვასილიევი**, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **ბ. პასტუხოვი**, მოძმე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის კომკავშირული ორგანიზაციათა დელეგაციების წევრები, კომკავშირის ვეტერანები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

საზეიმო პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯ. პატიაშვილმა**.

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა, თქვა მან. ღირსშესანიშნავ დროს აღნიშნავს ჩვენი ახალგაზრდობა თავისი ავანგარდის ნახევარი საუკუნის იუბილეს. ყოველ დღეს მოაქვს სასიხარულო ამბები საბჭოთა ადამიანების ახალ გამარჯვებათა და მიღწევათა შესახებ, რომლებიც ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს სსრ მშრომელებმა ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხთან ერთად ზეიმით აღნიშნეს ჩვენი რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავი. საქართველოს კომკავშირის დღესასწაული, რომელიც ლოგიკურად განაგრძობს ამ მაღალ ანგარიშს პარტიის წინაშე, ჩვენთვის გახდა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა ძალების საბრძოლო დათვალიერება, საბჭოთა სამშობლოს სასახელოდ ახალი საგმირო საქმეებისათვის მზადყოფნის დათვალიერება.

ჩვენი კავშირის ორმოცდაათი წლისთავი — ეს არის ყველა კომკავშირული თაობის დღესასწაული. დღეს აქ, ამ დარბაზში, არიან ჩვენი სახელოვანი წინამორბედნი, ისინი, ვინც საფუძველს უყრიდა საქართველოს კომკავშირს, ვინც აშენებდა და განამტკიცებდა მას, ვინც პირველდამაარსებელთა უფლებით და მოვალეობით მოგვანდო განვაგრძოთ მათი ცხოვრების მთავარი საქმე.

საზეიმო პლენუმი გახსნილად ცხადდება. ჟღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

---

(გაგრძელება მე-2 გვ.).

## ხალხთა სასიკეთოდ!

**გვინეის** რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის დღის გამო ამხანაგებმა **ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ და ა. ნ. კოსიგინმა** გვინეის დემოკრატიული პარტიის გენერალურ მდივანს, გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ **აჰმედ სეკუ ტურეს** გაუგზავნეს მისალოცი დეპეშა, რომელშიც დემოკრატიულ პარტიას, გვინეის მთავრობას, მთელ გვინეელ ხალხს, აგრეთვე პირადად ამხანაგ აჰმედ სეკუ ტურეს გულწრფელად მიულოცეს და ყოველივე საუკეთესო უსურვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელით.

საბჭოთა ადამიანები, ნათქვამია დეპეშაში, გულწრფელი სიმპათიის გრძნობით ადევნებენ თვალს მეგობარი გვინეის რესპუბლიკის განვითარებას, მის მიღწევებს სოციალისტური ორიენტაციის გზაზე და ძმურ სოლიდარობას უცხადებენ გვინეელი ხალხის ბრძოლას იმპერიალიზმისა და რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-გვინეის მეგობრული ურთიერთობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა კიდევ უფრო განვითარდება საბჭოთა კავშირისა და გვინეის რესპუბლიკის ხალხთა საკეთილდღეოდ, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის. (საკდესი).

## საბჭოთა კავშირ-იემენის მოლაპარაკება

**30 სექტემბერს** კრემლში დაიწყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ა. ნ. კოსიგინისა** და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრისა და თავდაცვის მინისტრის **ალი ნასერ მუჰამედის** მოლაპარაკება. ალი ნასერ მუჰამედი ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში როგორც იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მეთაური.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირისა და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის გაფართოებისა და განმტკიცების საკითხებზე, განიხილეს აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალური საერთაშორისო პრობლემები, მათ შორის ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები.

მოლაპარაკება გაგრძელდება. (საკდესი).

ეროვნული

# ერთგულებას გეფიცებით, პარტიავ!

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის საზეიმო პლენუმი

(გაგრძელება)

ფანფარების ხმაზე დარბაზში შემოაქვთ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის დროშა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო დროშა. დროშების შემოტანის საპატიო უფლება მიენიჭათ უკეთესებს უკეთესთა შორის: ენგურჰესის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს შ. აბაკელიას, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს ა. მეტრეველს, სოციალისტური შრომის გმირს ქ. გოგიტიძეს, ევროპის ჩემპიონს ცურვაში თ. ლეკვეიშვილს, მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ათგზის ჩემპიონს საპარაშუტო სპორტში ლ. კოვალენკოს, სოციალისტური შრომის გმირს დ. წიწვიძესა და სხვებს.

ტაშის გრიალში საზეიმო პლენუმის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ვ. მჟავანაძეს, რომელსაც შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ამხ. ვ. მჟავანაძე ამბობს:

**ძვირფასო ამხანაგებო!**

**ჩვენო სახელოვანო ქალიშვილებო და ჭაბუკებო!**

**ჩვენო პატივცემულო სტუმრებო!**

**სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენ ზეიმით აღვნიშნეთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავი, დღეს კი ვხვდით საქართველოს კომკავშირის — ჩვენი პარტიის ერთგული თანაშემწისა და მებრძოლი რეზერვის ნახევარი საუკუნის იუბილეს. და ამაში არის კანონზომიერება, ამაში არის ისტორიული მემკვიდრეობითობა.**

**პარტია და კომკავშირი.**

**პარტია იდგა კომკავშირის სათავეებთან, არწევდა მის აკვანს. იგი მზრუნველი დედასავით ზრდიდა და აწრთობდა ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს, სწორად და თანმიმდევრულად წარმართავდა მას ლენინური გზით.**

**სკკპ XXIV ყრილობამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ პარტია სამართლიანად ამაყობს კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლებით, რომ პარტია დიდ ყურადღებას უთმობდა და კვლავაც დაუთმობს ახალგაზრდობის პრობლემებს, საზრუნავსა და ინტერესებს, ყოველ ღონეს იხმარს, რათა ახალგაზრდობამ ღირსეულად განაგრძოს მამების საქმე, დიდი ლენინის საქმე.**

**ახალგაზრდობაზე ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა თქვა, ეს ჩვენი მომავალია, ჩვენი ცვლაა.**

**ისტორია საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირისა, რომლის 50 წლისთავს დღეს აღვნიშნავთ, განუყოფელია ჩვენი პარტიის ისტორიისაგან, საბჭოთა საქართველოს ისტორიისაგან.**

**პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს კომკავშირმა გაიარა რევოლუციური იატაკქვეშეთის დიდებული სკოლა.**

**პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს კომკავშირმა დაიწყო შეიარაღებული აჯანყება მენშევიკური ბატონობის წინააღმდეგ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.**

**პირველი ხუთწლედების წლებში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდში, დიდი სამამულო ომის ფრონტებზე და ომისშემდგომი მშენებლობის წლებში ჩვენი სახელოვანი მებრძოლი კომკავშირი პარტიის ხელმძღვანელობით ყოველთვის იყო ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის პირველ რიგებში, მოწინავე პოზიციებზე, მოწინავე ხაზზე.**

**და თავისი ისტორიის ყველა ეტაპზე კომკავშირი იყო და ახლაც არის ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი და ღირსეული მემკვიდრე.**

**ამიტომ ამ საზეიმო დღეს ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა კომკავშირს გადავცე ჩვენი პარტიის სიტყვა, წავიკითხო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი წერილი საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირისადმი.**

შემდეგ ამხანაგმა ვ. მჟავანაძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი წერილი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისადმი.

დარბაზში ქუხს ხანგრძლივი ტაში.

— დღეს, თქვა შემდეგ ამხ. ვ. მჟავანაძემ, ამ დარბაზში ყველას განსაკუთრებით საზეიმო განწყობილება აქვს, ყველა მხიარულია. ეს გასაგებიც არის: ჩვენ ხომ შევიკრიბეთ კომკავშირის იუბილეზე, ახალგაზრდობის დღესასწაულზე. ეს დღესასწაული ყველასათვის ძვირფასი, ყველასათვის მახლობელია, რადგან კომკავშირთან არის დაკავშირებული მრავალი თაობის სიჭაბუკე. ბევრისათვის კომკავშირი იყო ცხოვრებისა და შრომის ნამდვილი სკოლა, კომუნისტური აღზრდის სკოლა.

ყოველთვის, როცა საუბარი ჩამოვარდება კომკავშირელებზე, ჩვენს სახელოვან ახალგაზრდებზე, გვებადება განსაკუთრებით გულთბილი და გულითადი სიტყვები. დღესაც ამ სიტყვებით მივმართავთ ჩვენს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს და გვინდა, რომ თქვენს ყურსა და გულს ჩასწვდეს ეს სიტყვები.

სიჭაბუკე ადამიანის ცხოვრების საუკეთესო ხანაა.

ახალგაზრდობა ბუნებით მონიჭებული უდიდესი და განუმეორებელი მადლია. მაშ დააფასეთ, გაუფრთხილდით მას!

დაე თქვენი ცხოვრების ყოველი ახალი დღე გუშინდელზე უფრო მშვენიერი, საინტერესო, შინაარსიანი იყოს და თვითეულმა ახალმა დღემ გაგამდიდროთ სულიერად, გააკაჟოს თქვენი სხეული, ყოველმა ახალმა დღემ აგიყვანოთ განვითარების, სამყაროს შემეცნების, ცოდნის სრულყოფის, შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობის ახალ საფეხურზე.

და მაშინ თვითეულ თქვენგანს შეეძლება თქვას: მთელი ჩვენი სიცოცხლე, მთელი ჩვენი ძალღონე და ცოდნა მოვახმარეთ საყვარელ სამშობლოს, მშობლიურ პარტიას, მშობლიურ ხალხს, კომუნიზმის გამარჯვების საქმეს. ან რა უნდა იყოს უფრო დიდებული და კეთილშობილური, ვიდრე იცხოვრო და იბრძოლო კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის?!

მაშ ნება მიბოძეთ გისურვოთ ახალი ძალღონე და ახალი გამარჯვებანი ამ სახელოვან ბრძოლაში!

გისურვებთ დიდ წარმატებას ცხოვრებაში და ნათელ ბედნიერებას! გისურვებთ ჯანმრთელობასა და სიჭაბუკის უშრეტ ენერგიას!

დიდება, დიდება და კიდევ ერთხელ დიდება ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობას და მის მებრძოლ ავანგარდს — ლენინურ კომკავშირს! (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).

პლენუმზე საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა გააკეთა მოხსენება, „საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წელი".

თვითეულ ჩვენგანზე, თქვა მან, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძის შთამაგონებელმა და გულითადმა სიტყვებმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებამ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ კომკავშირის მუშაობის მაღალი შეფასება გვავალებს განუხრელად ვაუმჯობესებდეთ მთელ ორგანიზატორულ საქმიანობას და ვაღწევდეთ ახალ წარმატებებს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის უაღრესად პასუხსაგებ და კეთილშობილურ საქმეში.

საქართველოს კომკავშირი სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი მოწინავე მებრძოლი რაზმია. ლენინმა და პარტიამ შექმნეს და აღზარდეს კომკავშირი. პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს კომკავშირის მიერ განვლილი ნახევარი საუკუნე მოწმობს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა იცავს მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების უსაზღვრო ერთგულებას.

დღევანდელი ზეიმის მთელი სიხარული მჭიდროდ დაკავშირებულია პარტიასთან, ჩვენი ახალგაზრდობის ბრძენ დამრიგებელთან, ხალხთა ბედნიერებისათვის დაუცხრომელ მებრძოლთან. და კომკავშირს თავის უკეთილშობილეს ამოცანად მიაჩნია იაროს პარტიის მიერ ნაჩვენები გზით, განახორციელოს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის შექმნის ინიციატორი იყო ბოლშევიკური პარტია, მის აკვანთან იდგა დიდი ბელადი. „ჩვენ მომავლის პარტია ვართ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მომავალი კი ახალგაზრდობას ეკუთვნის. ჩვენ ნოვატორების პარტია ვართ, ხოლო ნოვატორებს ყოველთვის მეტი ხალისით მისდევს ახალგაზრდობა. ჩვენ ვართ პარტია ძველი სიდამპლის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლისა, ხოლო თავგანწირულ ბრძოლაში ყოველთვის პირველი წავა ახალგაზრდობა!".

ბოლშევიკური პარტია იყო საქართველოს რევოლუციური ახალგაზრდობის გაერთიანების ინიციატორი. საქართველოს ახალგაზრდობის რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში განსაკუთრებით ღირსსახსოვარია 1917 წლის 3 სექტემბერი, როცა თბილისში თავის დამფუძნებელ კრებაზე შეიკრიბა „სპარტაკის" ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია. მალე „სპარტაკის" ადგილობრივი ორგანიზაციები შეიქმნა ქუთაისში, სამტრედიაში, აბაშაში, ხონში, ლანჩხუთში, ზუგდიდსა და ბევრ სხვა რაიონში. ამ ორგანიზაციებიდან იღებს სათავეს საქართველოს კომკავშირი. შემდეგ მათი გაერთიანების გზით იგი ყალიბდება როგორც ერთიანი ორგანიზაცია.

საქართველოში ახალგაზრდა რევოლუციონერთა ორგანიზაციის შექმნისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის III ყრილობას, რომელზეც პროლეტარიატის დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა თავის ისტორიულ გამოსვლაში გენიალური სიღრმითა და მეცნიერული სიზუსტით განსაზღვრა კომკავშირის როლი და ამოცანები ახალი სახელმწიფოს მშენებლობაში.

დღეს, ამ საზეიმო ვითარებაში, თქვა მომხსენებელმა, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ადამიანები, რომელთა ცხოვრება უშუალოდ დაკავშირებულია საქართველოს კომკავშირის შექმნასთან. დღეს განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით ვიხსენებთ იმათ, ვინც მარად ჭაბუკი დარჩა: ბორის ძნელაძესა და გაიოზ დევდარიანს, იაშა ოქროევსა და დავით კაჭარავას, იაშა იონიძის და ბევრ სხვას.

სასიხარულოა, რომ დღეს ჩვენთან ერთად კომკავშირის ნახევარი საუკუნის იუბილეს აღნიშნავენ საქართველოს კომკავშირელთა პირველი თაობის წარმომადგენლები.

კომკავშირის III ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შესრულებულია მუშაობის პირველი ნაწილი — დანგრეულია ძველი სახელმწიფო, რომ ნიადაგი გაწმენდილია, და ამ ნიადაგზე ახალგაზრდა კომუნისტთა თაობამ უნდა ააშენოს კომუნისტური საზოგადოება. ახლის მშენებლობაში საქართველოს კომკავშირის მონაწილეობის შესანიშნავი მაგალითია გოელროს ლენინური გეგმის პირმშოს—ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის შექმნის შრომითი ეპოპეა. აქ შრომითი წრთობა მიიღო საქართველოს კომკავშირმა, რომელიც პარტიის მოწოდების პასუხად სათავეში ჩაუდგა ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტულ მოძრაობას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, სოციალისტური სახალხო მეურნეობის შექმნისათვის. და სწორედ ამიტომ გასული წლის ოქტომბერში ზაჰესიდან დაიწყო 70-იანი წლების კომკავშირელთა შრომითი ესტაფეტა, მან გაიარა იმ გზაზე, რომელიც საქართველოს კომკავშირმა განვლო 50 წლის მანძილზე.

ხუთწლედების წლებში მწყობრში ჩადგა რიონჰესი და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, აშენდა ათობით ახალი საწარმო. და ამ აღმშენებლობით შრომაში ღირსეული წვლილი შეიტანა კომკავშირელი დამკვრელების პირველმა თაობამ.

ამ პერიოდში აქტიური იყო საქართველოს კომკავშირის საქმიანობა სოფლადაც. საქართველოს კომკავშირი აქტიურად მონაწილეობდა ლენინის კოოპერაციული გეგმის განხორციელებაში. „არც ერთი კომკავშირელი კოლმეურნეობის გარეთ არ უნდა დარჩეს!" — ასეთი ლოზუნგით კომკავშირმა მოაწყო მასობრივი ლაშქრობა სასოფლო-სამეურნეო არტელების განსამტკიცებლად, მონაწილეობდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შექმნაში. სოფლად გაჩნდა პირველი ტრაქტორები, რომელთა საჭესთან კომკავშირელები ისხდნენ. მერე კოლხეთის ძველ მიწაზე მოვიდნენ ჩვენი ჭაბუკები, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს საუკუნეების მანძილზე დაჭაობებული მიწების ამოშრობას.

თავისი წარმოშობის პირველი დღიდანვე საქართველოს კომკავშირმა გამოაცხადა ლაშქრობა უწიგნურობის ლიკვიდაციისათვის. ამ პერიოდში ფართოდ გავრცელდა კულტარმიელთა მოძრაობა. კომკავშირელები სათავეში ჩაუდგნენ აგრეთვე მოძრაობას მუშფაკების შექმნისათვის.

ცხოვრების ყველა სფეროში ვლინდებოდა ახალგაზრდული ენთუზიაზმი და არ იყო ისეთი ძალა, ისეთი დაბრკოლება, რომ შეეჩერებინა ეს წინსვლა.

ამ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას, შრომისადმი ახალი დამოკიდებულების ჩანერგვას. მოწოდებას „კომკავშირელებო, ჩაებით სოციალისტურ შეჯიბრებაში!" რესპუბლიკის ახალგაზრდობა არნახული ერთსულოვნებით გამოეხმაურა.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ სტახანოვურ მოძრაობას პირველ დღეებშივე ფართოდ დაუჭირეს მხარი და განავითარეს საქართველოში. ამ მოძრაობაში ერთ-ერთი პირველები კომკავშირელები ჩაებნენ.

საქართველოს კომკავშირის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება მუდამ იყო ზრუნვა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, თქვა მომხსენებელმა. კომკავშირი მიზანდასახულად წარმართავდა ახალგაზრდობის სწრაფვას სამხედრო ცოდნისა და სპეციალობების დაუფლებისადმი.

„მზად ვართ შრომისა და თავდაცვისათვის" — ასეთი იყო დევიზი ახალგაზრდობისა, რომელიც ფაშიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის ემზადებოდა.

დიდი სამამულო ომის წლებში 165 ათასი კომკავშირელი მამაცურად იბრძოდა დამპყრობთა გამხეცებული ურდოების წინააღმდეგ. ჩვენმა ხალხმა კარგად იცის კომკავშირის აღზრდილების კონსტანტინე ლესელიძის, პორფილე ჩანჩიბაძის, ვლადიმერ ხარაზიას, ჭიჭიკო ბენდელიანის, ისრაფილ ჯინჭარაძის, აკაკი ტერელაძის, შოთა გამცემლიძის, ალექსანდრე წურწუმიას, ზოია რუხაძის, მიხეილ ბუხაიძის, ოთარ ჩეჩელაშვილის, ნოე ადამიას, ლავრენტი ავალიანისა და ბევრ სხვათა გმირული საქმეების ამბავი. დაახლოებით ას კომკავშირელსა და საქართველოს კომკავშირის აღზრდილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ლეგენდასავით ვრცელდებოდა კომკავშირის აღზრდილის პარტიზან ფორე მოსულიშვილის თავდადებული გმირობის ამბავი. იგი შორეულ იტალიაში ებრძოდა ფაშიზმს და ამ ქვეყნის ეროვნული გმირი გახდა.

მომხსენებელი შეეხო საქართველოს კომკავშირელთა თავდადებულ შრომას ზურგში და აღნიშნა, რომ მათ 11 მილიონზე მეტი მანეთი შეაგროვეს, რათა აეგოთ საბრძოლო თვითმფრინავების ესკადრილია „საქართველოს კომკავშირელი".

სახალხო მეურნეობის აღდგენის ომისშემდგომი გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში სერიოზული ძალა იყო ახალგაზრდობა.

საქართველოს კომკავშირის 40-იანი და 50-იანი წლების თაობასთან დაკავშირებულია რუსთავის მეტალურგიული გიგანტის მშენებლობა. 1950 წელს რუსთავში ამოქმედდა პირველი მარტენის ღუმელი. ქართული ფოლადის დაბადება გახდა რესპუბლიკის ყველა მშრომელის დღესასწაული. აღსანიშნავია, რომ პირველი ნადნობი კომკავშირულ-ახალგაზრდული იყო.

რუსთავის კომკავშირელების თავდადებული შრომის შედეგი ის იყო, რომ 1968 წელს საკავშირო ალკკ 50 წლისთავის აღსანიშნავად, რუსთავის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

რესპუბლიკის კომკავშირელები აქტიურად მონაწილეობენ სამგორის სარწყავი სისტემის, ხრამჰესის, ორთაჭალჰესის, სოხუმის ჰიდროელექტროსადგურისა და სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობაში, იბრძვიან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ფართოდ ნერგავენ ნაკადური წარმოების მეთოდებს. 1948 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის უხვი მოსავლის მოყვანისათვის საქართველოს ახალგაზრდობის 25 წარმომადგენელს, მათ შორის 22 კომკავშირელს, მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. 1951 წელს ეს მაღალი წოდება მიენიჭა 181 ქალიშვილსა და ჭაბუკს, რომელთაგან 127 კომკავშირელი იყო.

ქართველმა ახალგაზრდობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში, ახალი მარგანეცის მაღაროებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების მშენებლობაში, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის აღმავლობაში. ფართოდ გავრცელდა მოძრაობა დამკვრელური კომუნისტური შრომისათვის, წინა პლანზე წამოიწია ბრძოლამ არა მარტო სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისათვის, არამედ აგრეთვე ზრუნვამ ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის.

დღეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში, თქვა ამხ. პატიაშვილმა, დასაქმებულია დაახლოებით 400 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი. ისინი პირნათლად აგრძელებენ მამათა შრომით ტრადიციებს, ერთსულოვნად ეხმაურებიან პარტიის ყველა მოწოდებას.

ასე იყო „დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში, როცა ჩვენი ახალგაზრდობა მასობრივ შრომით ვახტზე დადგა.

ასე იყო სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში, როცა მთელი ჩვენი ახალგაზრდობა ჩაება მოძრაობაში დევიზით „კომკავშირის იუბილეს — შრომითი საჩუქრები".

ასე იყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადების პერიოდში, როცა ჩვენი ახალგაზრდობა ბევრი სასარგებლო წამოწყების ინიციატორი იყო.

ასე გაგრძელდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში, როცა მთელი ქვეყანა ჩვენი ქალიშვილებისა და ჭაბუკების მიერ მიღწეული ახალი წარმატებების მოწმე გახდა.

ასეა ახლაც, როცა ჩვენი ახალგაზრდობის მოქმედების პროგრამა გახდა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, როცა ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები შრომობენ დევიზით „ხუთწლედს — ახალგაზრდათა დამკვრელური შრომა, ოსტატობა და ძიება!"

ფართოდ გავრცელდა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრთველის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, კომუნისტური შრომის დამკვრელის მზია არათანაშვილის თაოსნობა: „ხუთდღიური — ოთხ დღეში". რესპუბლიკის ათი ათასამდე ახალგაზრდა რაციონალიზატორსა და გამომგონებელს, რომლებიც მონაწილეობენ კონკურსებში პროფესიების მიხედვით, საზოგადოებრივ საწყისებზე, საკონსტრუქტორო ბიუროების, ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭოების, კომკავშირული პროჟექტორის მრავალრიცხოვანი რაზმების საქმიანობაში, არსებითი წვლილი შეაქვთ სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

თბილისელები გიური წულაია და მარინე აბულაძე, რუსთაველები ელენე კოწიწაშვილი და იური მარგალიტაძე, ქუთაისელი იზოლდა რობაქიძე, ცხინვალელი ვენერა გაბიევა, ზესტაფონელი მიხეილ კახნიაშვილი, სოხუმელი ალექსანდრე მელნიკოვი, ბათუმელი ამირან ნაკაშიძე, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელი შუქრი აბაკელია და ბევრი სხვა ღირსეულად აგრძელებენ საქართველოს მუშათა კლასის შესანიშნავ ტრადიციებს.

სამოცდაათიანი წლების ქართველი კომკავშირელებისათვის შრომითი საქმიანობის ფართო ასპარეზი გახდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სრულიად საკავშირო კომკავშირული დამკვრელური მშენებლობა.

როგორც ყოველთვის, მოწინავეთა რიგებში არიან ჩვენი სოფლის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდობა მხურვალედ გამოეხმაურნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის გამოსვლას სკკპ XXIV ყრილობაზე, რომელშიც საქართველოს მშრომელთა სახელით მან პარტიას აღუთქვა, რომ მეცხრე ხუთწლედის დამლევისათვის რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის მოსავლიანობა მიაღწევს 300 ათას ტონას. გაიზარდა ახალგაზრდული რგოლებისა და ბრიგადების რიცხვი, რომლებიც ჩაის პლანტაციებში მუშაობენ. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ჩვენი ახალგაზრდობა თავისი დაუღალავი მარჯვენითა და ჩაის საკრეფი მანქანების „საქართველოს" საშუალებით კრეფს ათასობით ტონა ფოთოლს. მისი დამსახურებაც არის იმაში, რომ რესპუბლიკის მეჩაიეებმა 26 სექტემბრისათვის ჩააბარეს სახელმწიფოს 262.300 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 26.300 ტონით აღემატება გეგმას და 12.300 ტონით — ნაკისრ ვალდებულებას.

დღეს, როცა განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი რესპუბლიკის მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ, ახალგაზრდობა მისთვის ჩვეული აქტივობით მრავალი წამოწყების ინიციატორი ხდება. ისინი მიზნად ისახავენ მეცხოველეობის საკვები ბაზის გაუმჯობესებას, კომკავშირული ფერმებისა და რგოლების რიცხვის ზრდას, მექანიზაციის ფართოდ დანერგვას.

შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ მევენახეები და მეცხოველეები, მეჩაიეები და მემინდვრეები, ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც სოფლის მეურნეობის ყველა დარგში არიან დასაქმებულნი. ჩვენ ვამაყობთ ახალგაზრდობის ისეთი წარმომადგენლებით, როგორიც არიან სვეტლანა ნიკოლაიშვილი, კლავდია ნაცვალაძე, ქეთევან გოგიტიძე, სვეტლანა აგრბა, ნინო გოგოჭური, მერი მჭედლიშვილი, ქეთევან დიასამიძე, ნარიკო ბარამიძე, სულიკო გოგიაშვილი, ნოდარ ნატროშვილი, სოსო დვალიშვილი, ტარიელ ჯოგიაშვილი და ბევრი სხვა.

საქართველოს კომკავშირის ნახევარი საუკუნის იუბილემ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ასობით კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რგოლი და კოლექტივი ჩაბმული იყო საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

კომკავშირული ორგანიზაციები უდიდეს მუშაობას ეწევიან, ახალგაზრდებს ზრდიან დიადი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სულისკვეთებით, განმარტავენ პარტიის მართალ და თანმიმდევრულ პოლიტიკას, მის უსაზღვრო ერთგულებას ლენინური კურსისადმი, ავითარებენ ახალგაზრდების პოლიტიკურ აქტივობას, იმის უნარს, რომ პრინციპული კლასობრივი პოზიციებიდან შეაფასონ მოვლენები, გამოიჩინონ კომუნისტური სიმტკიცე მოქმედებაში.

სამრეწველო საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილ პოლიტწრეებში და სემინარებზე ახალგაზრდობა სწავლობს მარქსისტულ-ლენინურ მემკვიდრეობას, ასრულებს ლენინის ანდერძს „ისწავლონ კომუნიზმი". მდიდარი ლენინური თეორიული მემკვიდრეობის ღრმად შესწავლაში ქალიშვილებს და ჭაბუკებს ხელს უწყობს „ლენინური ჩათვლა", ეხმარება მათ კოლექტივის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში თავისი კონკრეტული როლისა და ადგილის განსაზღვრაში.

ახალი სრულიად საკავშირო ლენინური ჩათვლა — „განვახორციელოთ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი!" კიდევ უფრო აამაღლებს ჩვენი ახალგაზრდობის მომზადების მარქსისტულ-ლენინურ დონეს, გააძლიერებს მის ინტერესს პარტიის ყრილობის დოკუმენტების შესწავლისადმი.

ლენინური ჩათვლის თვითეულმა მონაწილემ უკვე შეადგინა თავისი კომკავშირული გეგმა — „ისწავლოს კომუნიზმი".

5 ოქტომბერს რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდობა მონაწილეობას მიიღებენ სრულიად საკავშირო ლენინურ გაკვეთილში „ხუთწლედი — მე, მე — ხუთწლედს".

საქართველოს კომკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალგაზრდობის სწავლებას, აქტიურად მონაწილეობს საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის განხორციელებაში, ყოველნაირად ცდილობს მომავალი თაობის სწავლა და აღზრდა დაუკავშიროს კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ საკითხებს. იგი აქტიურად მონაწილეობს აგრეთვე სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცხადებულ ლაშქრობაში „კომკავშირი — სოფლის სკოლას".

საქართველოს კომკავშირს მუდამ უაღრესად საპასუხისმგებლო საქმედ მიაჩნდა პიონერული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. რესპუბლიკის ნორჩ ლენინელთა 477-ათასიანი რაზმი მჩქეფარე და საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს. კომკავშირელების მხარდამხარ პიონერებს თავიანთი წვლილი შეაქვთ საყოველთაო-სახალხო საქმეში.

კომკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, რომლებშიც მზადდება სხვადასხვა დარგის სპეციალისტები — ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის ღირსეული ცვლა.

ჩვენი ახალგაზრდობის მრავალრიცხოვანი რაზმია, თქვა მომხსენებელმა, სტუდენტობა, რომელიც აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. ფართოდ გახდა ცნობილი სამშენებლო რაზმების თავდადებული შრომა ზაფხულის არდადეგების დროს — ეგრეთ წოდებულ მესამე სემესტრში, საგიტაციო და საშეფო ბრიგადების, სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროების საქმიანობა.

ზრუნვა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში ახალგაზრდობის ფართო მონაწილეობისათვის საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი მთავარი საქმეა. ჩვენ ვესწრაფვით იმას, რომ ახალგაზრდა მეცნიერები თავიანთ ძიებასა და შრომას მჭიდროდ უკავშირებდნენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომ კონკრეტულ პრობლემებს.

„ადამიანთა კულტურის, განათლების, საზოგადოებრივი შეგნების, შინაგანი სიმწიფის მაღალი დონის გარეშე კომუნიზმი შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია იგი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე, — თქვა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობისადმი.

რესპუბლიკის კომკავშირი პროფკავშირებთან, კულტურის დაწესებულებებთან, შემოქმედებით და ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს ბევრ საინტერესო ღონისძიებას ახალგაზრდა თაობის ჰარმონიული განვითარებისათვის.

ხალხისადმი უანგარო სამსახური, სამშობლოს გმირული ყოველდღიური შრომის მაღალმხატვრული ასახვა საქართველოს შემოქმედებითი ახალგაზრდობის საპატიო მოვალეობაა, რასაც იგი წარმატებით ასრულებს. ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები გახდნენ ლენინური კომკავშირის პრემიების ლაურეატები.

საქართველოს კომკავშირი თავის ძალღონეს მუდამ ახმარს იმას, რომ ჩვენი ახალგაზრდობა იზრდებოდეს ღონიერი, ჯანმრთელი, ნებისყოფიანი, რათა მასში ვითარდებოდეს გამბედაობა, ვაჟკაცობა, გმირობა. კომკავშირმა ბევრი გამოჩენილი სპორტსმენი აღზარდა.

ვიმედოვნებთ, რომ ნონა გაფრინდაშვილი, ალექსანდრე მეტრეველი, ნანა ალექსანდრია, ლევან თედიაშვილი, რომან რურუა, შოთა ლომიძე, თინა ლეკვეიშვილი, ვიქტორ სანეევი, ომარ ფხაკაძე, ნინო დრონოვა და ბევრი სხვა სპორტსმენი კიდევ მრავალჯერ გაგვახარებენ თავიანთი შესანიშნავი გამარჯვებებით სრულიად საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე, მომავალ ოლიმპიურ ასპარეზობაზე.

საქართველოს კომკავშირი მოზარდ თაობას ზრდის ხალხთა ძმური მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ჩვენი რესპუბლიკის წარმატებანი სახალხო მეურნეობისა და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში მჭიდროდ არის დაკავშირებული პარტიის მიერ ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებასთან. ჩვენ თვალისჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ სოციალისტური მშენებლობის წლებში შობილ ადამიანთა ახალ ისტორიულ ერთობას, ახალგაზრდობა კვლავ უნდა აღვზარდოთ ყველა ერისა და ეროვნებისადმი დიდი პატივისცემის სულისკვეთებით.

მტკიცდება საქართველოს კომკავშირის მეგობრული ურთიერთობა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობასთან.

ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა მხარს უჭერს მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის ბრძოლას ვიეტნამში იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, გმობს ისრაელის ბარბაროსულ პოლიტიკას არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, სოლიდარობას უცხადებს თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ყველა ხალხს. ჩვენ ვცდილობთ ეს სოლიდარობა განვამტკიცოთ პრაქტიკული საქმეებით. ამას ადასტურებს რესპუბლიკის ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო კამპანიაში „ახალგაზრდობა ამხილებს იმპერიალიზმს" და მოძრაობაში მებრძოლი ვიეტნამის მხარდასაჭერად.

თავისი პირველი ყრილობის დროს საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებდა 2.300 კაცს. დღეს ჩვენ ნახევარი მილიონი ვართ. ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა საქართველოს კომკავშირი ესოდენ მრავალრიცხოვანი. რესპუბლიკის კომკავშირმა 50 წლის განმავლობაში გამოზარდა ასეულ ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი, აღზარდა ისინი მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით, ჩაუნერგა მათ საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების რწმენა.

მაგრამ საქმე ჩვენი კავშირის წევრთა რიცხვი როდია. თავის დროზე ვ. ი. ლენინმა დასვა კითხვა: შეუძლია თუ არა ასეულის ძალამ დაძლიოს ათასეულის ძალა? და უპასუხა: შეუძლია, თუ ასეული ორგანიზებულია.

კომკავშირელთა ამ ორგანიზებულობამ, პოლიტიკურმა სიმტკიცემ განაპირობა ის, რომ კომკავშირმა ღირსეული ადგილი დაიკავა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ათეულ ათასობით კომკავშირელი პარტიის წევრი გახდა. პარტიას კომკავშირი თავის რეზერვად და თანაშემწედ მიაჩნია. ეს დიდად საპატიოა ჩვენთვის.

სკკპ XXIV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „კომკავშირი უკეთ უნდა იყენებდეს არსებულ შესაძლებლობებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ქალიშვილებისა და ჭაბუკების ჩაბმისათვის".

კომკავშირის ძალა პარტიული ხელმძღვანელობაა. საქართველოს კომკავშირის ყველა წარმატების წყარო უნდა ვეძებოთ პარტიის მხარდაჭერაში, დახმარებასა და ხელმძღვანელობაში. საქართველოს კომკავშირი სრულიად საკავშირო კომკავშირის განუყოფელი ნაწილია. სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს არაერთხელ მოუწონებია რესპუბლიკის კომკავშირის საქმიანობა.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანების შესახებ".

სრულიად საკავშირო ალკკ XVI ყრილობამ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა დიდი ყურადღება დაუთმეს პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობისა და აქტივობის ამაღლებას. ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მომავალში კომკავშირის როლი, ავტორიტეტი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაეხმარება ახალგაზრდობას საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტაში.

ემზადებოდნენ რა საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავისათვის, რესპუბლიკის ახალგაზრდობამ, თვითეულმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს მოქალაქეობრივი სიმწიფის მაღალი დონე და მზადყოფნა თავდადებით იბრძოლონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეცხრე ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის.

დღეს, ამ საზეიმო ვითარებაში ჩვენ ვფიცავთ პარტიას, რომ მუდამ ერთგულად შევასრულებთ მამათა საქმეს, ვიმუშავებთ ისე, როგორც გვასწავლიდა დიდი ლენინი, როგორც გვასწავლის მშობლიური კომუნისტური პარტია.

დაე კვლავ მთელი კომკავშირული პირდაპირობითა და მგზნებარებით გაისმოდეს ფიცის სიტყვები: წმიდად დავიცავთ სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრებს, თავდადებით ვემსახურებით პარტიისა და ხალხის დიად საქმეს, მთელ ახალგაზრდულ ძალღონესა და უნარს მოვახმართ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლევამოსილ წინსვლას.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომკავშირის ვეტერანი, აკადემიკოსი ვ. კუპრაძე.

ყოველივე დიადი, ყოველივე უმნიშვნელოვანესი, წმიდა და დაუვიწყარი, რაც ჩვენი ისტორიის დიდებასა და სიამაყეს შეადგენს, — თქვა მან, — განუყრელად არის დაკავშირებული კომკავშირის სახელთან და მისი მგზნებარე მონაწილეობის, როგორც პარტიის უახლოესი თანამებრძოლისა და ერთგული თანაშემწის მონაწილეობის წარუშლელი კვალი აზის.

მე წილად მხვდა ბედნიერება დღეს ამ დარბაზში ვილაპარაკო ჩვენი რესპუბლიკის 20-იანი წლების კომკავშირელთა სახელით.

ოციანი წლები, განსაკუთრებით პირველი პერიოდი, ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში მძიმე, მაგრამ დიდი ისტორიული მნიშვნელობით აღსავსე წლები იყო.

ოციანი წლების კომკავშირელებმა თავი გამოიჩინეს როგორც კომუნისტური პარტიის შეუცვლელმა თანაშემწეებმა. მინდვრებში და ჩარხებთან, წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში, კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში კომკავშირელები უცვლელად გვიჩვენებდნენ შრომითი გმირობის, რევოლუციური უშიშროებისა და ვაჟკაცობის მაგალითს.

მაგონდება, თქვა ვ. კუპრაძემ, იმ დღეების კომკავშირელთა მგზნებარე მისწრაფება წარმოედგინათ მომავალი და დაენახათ იქ ძვირფასი სამშობლო. როგორი იქნება იგი ორმოცდაათი წლის შემდეგ? აი საკითხი, რომელსაც ეძღვნებოდა მგზნებარე დისკუსიები, ყველაზე გაბედული ოცნებანი და ფანტაზიები. და როცა ჩვენს დროში, ნახევარი საუკუნის შემდეგ ჩვენი პარტიის XXIV ყრილობაზე ვუსმენდი ამხანაგ ბრეჟნევის მოხსენებას, ცოცხლად წარმომიდგა იმ შორეული დღეების კომკავშირელთა შთაგონებული სახეები, როცა ისინი თავიანთ ოცნებებში სამოცდაათიანი წლების სამშობლოს ხედავდნენ სწორედ იმ უმაგალითო გამარჯვებათა შარავანდედით მოსილს, რომელთა მკაფიო და რეალისტური სურათი დაგვიხატა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში.

დღევანდელი დღესასწაული მარტო კომკავშირის, ახალგაზრდობის ზეიმი როდია. ეს არის მთელი ქართველი ხალხის დიდი ზეიმი, — თქვა თავის გამოსვლაში წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემოქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. კობაიძემ.

მე წილად მხვდა საიუბილეო ზეიმზე დასწრების დიდი [illegible] მაგრამ მარტო როდი [illegible] თან ჩამოვიტანე ჩემი თანასოფლელების მხურვალე სიყვარული! თან ჩამოვიტანე ჩემი თანასოფლელების გულითადი მგზნებარე სალამი! ჩვენი სოფლის კომკავშირელები გვპატაკებენ, რომ თავდადებით შრომობენ და ბეჯითად სწავლობენ.

დღეს მინდა ერთხელ კიდევ მოვიგონო ის კომკავშირელები, ახალგაზრდები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ჩვენს რესპუბლიკას, საქართველოს კომპარტიას, ჩვენს ქართულ კომკავშირს დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ბრძოლებში და თავდადებული შრომით ზურგში.

მე, როგორც ვეტერანი კომკავშირისა, რომლის რიგებში 40 წლის წინათ შევედი, ვამაყობ, რომ ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა ღირსეულად განაგრძობს მამების შესანიშნავ ტრადიციას. ნება მიბოძეთ ჩვენი რაიონის ყველა მშრომელის სახელით სულითა და გულით მოგესალმოთ, მოგილოცოთ დღესასწაული და გამოვთქვა რწმენა, რომ სოფელ ზემოქედის კომკავშირელები და ახალგაზრდობა უფროსი თაობის წარმომადგენელთა მხარდამხარ კვლავაც სულ ახალ და ახალ წარმატებებს მოიპოვებენ.

საზეიმო პლენუმის მონაწილეთა მისასალმებლად მოვიდნენ რესპუბლიკის პიონერები. დარბაზი აივსო ყვავილებითა და ბავშვთა ჟრიამულით. თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელებმა ყვავილები მიართვეს შეკრებილთ. მათ შეჰფიცეს თავიანთ უფროს ამხანაგებს, რომ იქნებიან ერთგული თანაშემწენი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის ბრძოლაში.

ტრიბუნაზეა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. პასტუხოვი.

პატივცემულო ამხანაგებო!

ძვირფასო მეგობრებო!

ნება მიბოძეთ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით მხურვალედ და გულითადად მოგილოცოთ თქვენ, საზეიმო პლენუმის მონაწილეებს, საქართველოს კომკავშირელებს, ყველა კომკავშირული თაობის წარმომადგენლებსა და ვეტერანთა მარად ახალგაზრდა გვარდიას, კომუნისტებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს შესანიშნავი დღესასწაული — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავი.

ამ ამაღელვებელ დღეს, ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო, თქვენი ზეიმის სიხარულს თქვენთან ერთად იზიარებს მთელი 28-მილიონიანი ლენინური კომკავშირი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა.

ნება მიბოძეთ ზეიმზე ჩამოსული დელეგაციების დავალებით გადმოგცეთ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — გმირი ქალაქის მოსკოვისა და დიდი ოქტომბრის აკვნის — გმირი ქალაქის ლენინგრადის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების მხურვალე, გულითადი სალამი.

თავის ღრმა და ამაღელვებელ გამოსვლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძემ მაღალი შეფასება მისცა საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის საქმიანობას. ეს შეფასება ყოველ ჩვენგანში იწვევს დიდი სიამაყის გრძნობას სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმის — საქართველოს კომკავშირის საქმეებისათვის, წარმატებებისათვის, მიღწევებისათვის.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, გულითადად მოგილოცოთ პარტიის ეს მაღალი შეფასება და გისურვოთ ახალი წარმატებანი, ახალი გამარჯვებანი ჩვენი საყვარელი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად.

სასიხარულოა, რომ საქართველოს კომკავშირის იუბილე აღინიშნება ღირსსახსოვარ წელს — სკკპ ისტორიული XXIV ყრილობის წელს. ყოველი დღე მკაფიოდ, დამაჯერებლად ადასტურებს ჩვენი პარტიის, სოციალისტური სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის სისწორესა და სიბრძნეს.

დიდი, არნახული ბედნიერება ხვდა წილად კომკავშირს — იყოს ლენინური პარტიის, ნოვატორთა პარტიის, მებრძოლთა პარტიის მებრძოლი თანაშემწე და რეზერვი. ამას განსაკუთრებული ძალით გრძნობ აქ — საბჭოთა საქართველოს მშვენიერ მიწა-წყალზე.

საქართველოს კომკავშირის დაბადების დღე უშუალოდ დაკავშირებულია მიმდინარე წლის მაისის იმ შესანიშნავ დღეებთან, როცა რესპუბლიკის მშრომელებმა აღნიშნეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავი. საიუბილეო ზეიმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მონაწილეობამ, რესპუბლიკის დაჯილდოებამ ოქტომბრის რევოლუციის ორდენით მაშინ თქვენს იუბილეს მთელი საბჭოთა ხალხის დიდი და სასიხარულო დღესასწაულის ხასიათი მიანიჭა.

ქართველი ხალხის უდიდეს მიღწევებში დიდია საქართველოს ახალგაზრდობის, რესპუბლიკის კომკავშირის თავდადებული შრომის, მჩქეფარე ენერგიისა და შემოქმედების წილი.

ახალგაზრდობა საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენს. ძალიან დიდია მისი ხვედრითი წონა მატერიალური წარმოებისა და კულტურის ყველა სფეროში. არ შეიძლება არ გაგვაოცოს ციფრებმა, რომლებიც ახასიათებენ ქართველი ახალგაზრდობის განათლების დონეს, ფართო ინტერესებს, მრავალმხრივ ნიჭსა და უნარს.

დღეს, საზეიმო და სასიხარულო იუბილეზე ჩვენ გონების თვალს ვავლებთ იმ დღეებს, როცა დაიბადა [illegible] საქართველოს კომკავშირი. [illegible] ახალგაზრდობის შეკავშირება ბოლშევიკების დროშით თვით ცხოვრების მიერ იყო ნაკარნახევი, იგი ობიექტურად ასახავდა ოქტომბრის შედეგად გამოღვიძებული ათასობით ახალგაზრდა ამიერკავკასიელი პროლეტარისა და ღარიბი გლეხის ცხოვრებასა და იმედებს.

პირველი დღეებიდანვე რესპუბლიკის კომკავშირი საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობს სახალხო მეურნეობის აღდგენაში, ეკონომიკის სოციალისტურ გარდაქმნაში, კულტურული რევოლუციის განხორციელებაში.

საქართველოს კომკავშირის აღზრდილები რუსებთან და უკრაინელებთან, ბელორუსებთან და ლატვიელებთან, ყაზახებთან და უზბეკებთან — ყველა ეროვნების მეომრებთან ერთად ჩაებნენ წმიდათა წმიდა ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ.

სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის 150 ათასი წევრი გაგზავნეს ომის დროს ფრონტზე რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. მათგან დაახლოებით 100 ათასი დაიღუპა სამშობლოსათვის ბრძოლებში.

როცა საქართველოს კომკავშირის აღზრდილის მელიტონ ქანთარიასა და მისი მებრძოლი მეგობრების მიერ რაიხსტაგზე აღმართულმა წითელმა დროშამ მთელ მსოფლიოს აუწყა მტერზე გამარჯვების ამბავი, საბჭოთა საქართველო, რომელიც ჯეროვან პატივს მიაგებდა ათასობით თავისი საუკეთესო შვილის ხსოვნას, უკვე ფართოდ აჩაღებდა მშვიდობიან მშენებლობას მოძმე ხალხთა დახმარებით.

ამბობენ, ერთი ადამიანის ბედში მთელი თაობისათვის დამახასიათებელი ნიშნები შეგვიძლია დავინახოთო. ეს სიტყვები რომ გაზვიადებული არ არის, შეგვიძლია დავრწმუნდეთ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ახალგაზრდა მეფოლადის იური მარგალიტაძის შრომითი გზის მიხედვით. სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ჯარში მსახურობდა, დემობილიზებულმა მუშაობა დაიწყო რუსთავში, ბრიგადაში, რომელიც ბორის ძნელაძის სახელობის ღუმელს ემსახურებოდა. თავისი შრომითი გზის დასაწყისიდანვე იური აღმოჩნდა ბრიგადირის, იმ დროს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრის, სრულიად საკავშირო ალკკ საპატიო ნიშნის კავალერის დიმიტრი ბარათაშვილის პირად მეურვეობაში. მისი ხელმძღვანელობით იური არა მარტო დაეუფლა რთული პროცესის საიდუმლოებებს, არამედ მიიღო მაღალი მოქალაქეობრივი წრთობაც — ისეთი განსაკუთრებული, გადიდებული სიმტკიცისა, როგორიც მისი ქარხნის მიერ გამოშვებული ფოლადია. დღეს იური მარგალიტაძეს ისევე როგორც თავის დროზე მის მასწავლებელს, მინდობილი აქვს პატივი მუშაობდეს ბრიგადირად, იყოს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის მოხსენებაში წარმოსახულია სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში საქართველოს კომკავშირის მონაწილეობის შთამბეჭდავი, მკაფიო სურათი.

რესპუბლიკის კომკავშირის, ისევე როგორც მთელი ლენინური კომკავშირის სული და გულია მუშა ახალგაზრდობა. რესპუბლიკის ახალგაზრდა მშრომელები სულ უფრო აფართოებენ შეჯიბრებას ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ჯერ კიდევ საუკუნის დამდეგს დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა სპეციალისტთა ეროვნულ კადრებზე — 25-30-მდე ინჟინერსა და აგრონომზე. რა შორს წავიდა დღეს ჩვენი რესპუბლიკა!

ახლა ათასობით ახალგაზრდა ინჟინერი და ტექნიკოსი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, მეცნიერი, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწე რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად აქტიურად მონაწილეობს პარტიის ახალ წინასწარდასახულობათა შესრულებაში.

რესპუბლიკის კომკავშირის სიამაყენი იყვნენ, არიან და იქნებიან საქართველოს მშვენიერი კომკავშირელი ქალიშვილები. ასობით მათგანის შრომა აღინიშნა მთავრობის მაღალი ჯილდოებით, თხუთმეტს კი მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

შორს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არიან ცნობილი დალი წიწვიძე, ქეთო გოგიტიძე, ელენე კოწიწაშვილი, ვინარი სხულუხია.

სახელი და დიდება თქვენ, ახალგაზრდა მშრომელებო, საბჭოთა საქართველოს კომკავშირელებო!

ქართველი ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი შესანიშნავი ახალგაზრდობით, კომკავშირით, რომლებიც კომუნიზმის საქმის უსაზღვროდ ერთგული არიან. ამ ნდობას რესპუბლიკის კომკავშირი უპასუხებს გმირული თავდადებული შრომით. მხურვალე სურვილით შეიტანოს ღირსეული წვლილი სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

პარტიულ ხელმძღვანელობაშია კომკავშირის ძალა! მთელ თავის წარმატებებსა და მიღწევებს რესპუბლიკის კომკავშირი უნდა უმადლოდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ყოველდღიურ მამობრივ ზრუნვას.

ნება მიბოძეთ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სახელით მხურვალე მადლობა გადავუხადო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მთავრობას, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს,

(დასასრული მე-4 გვ.)

# მეგობრობა და თანამშრომლობა

სსრ კავშირის მთავრობამ 30 სექტემბერს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართა იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პრემიერ-მინისტრისა და თავდაცვის მინისტრის ალი ნასერ მუჰამედის მეთაურობით.

საპატიო სტუმართან და დელეგაციის წევრებთან ერთად სადილზე იყვნენ იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში აჰმედ ხალეჯ აშ-შაერი და საელჩოს თანამშრომლები.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ს. პოლიანსკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები მ. ტ. ეფრემოვი, მ. ა. ლესეჩკო, ი. ტ. ნოვიკოვი, ლ. ვ. სმირნოვი, სსრ კავშირის მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილის დროს სტუმრებს სიტყვით მიმართა ა. ნ. კოსიგინმა.

## ა. ნ. კოსიგინის სიტყვა

მოგესალმებით მოსკოვში ჩვენს საპატიო სტუმარს მეგობარი იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ალი ნასერ მუჰამედსა და მთავრობის დელეგაციის წევრებს, რომელსაც იგი მეთაურობს.

საბჭოთა ხალხი ყურადღებითა და ინტერესით ადევნებს თვალს ახალგაზრდა არაბული რესპუბლიკის წარმატებებს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთში, რომელიც პროგრესული დამოუკიდებელი განვითარების გზას ადგას.

ხანგრძლივი და ძნელი იყო სამხრეთ იემენის ხალხის დამოუკიდებლობის გზა. ჩვენ ვიცით, რომ სამხრეთიემენელი ხალხი არასოდეს არ შეეგუებია კოლონიურ წესებს. ინგლისის ბატონობის სულ პირველი დღეებიდანვე ქვეყანაში არ წყდებოდა ხალხის გამოსვლები კოლონიზატორებისა და მათი აგენტების წინააღმდეგ. საჭირო გახდა შეუპოვარი გმირული ბრძოლის წლები იმისათვის, რომ ჩამოეგდოთ კოლონიალიზმის უღელი.

არაბთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა 1963 წლის 14 ოქტომბერი. ამ დღეს მომხდარმა შეიარაღებულმა შეტაკებამ რადფანში დასაბამი მისცა სამხრეთ იემენის ხალხის ძლევამოსილ ანტიიმპერიალისტურ რევოლუციას ინგლისის იმპერიალიზმის ბატონობისა და ადგილობრივი ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ. 1967 წლის 30 ნოემბერს ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა შთამაგონებელი მაგალითი გახდა არაბეთის სამხრეთისა და სპარსეთის ყურის რაიონის ხალხებისათვის, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა კავშირის ხალხები მხურვალედ მიესალმნენ თქვენს რევოლუციას, რომელიც მიზნად ისახავდა კოლონიალიზმისაგან ჩაგრული ერის განთავისუფლებას და რომელიც ანტიიმპერიალისტური ხასიათისა იყო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მთელი ჩვენი ხალხი ყოველთვის სოლიდარობით ეკიდებოდნენ იემენის პატრიოტთა განმათავისუფლებელ ბრძოლას მისი განვითარების ყველა ეტაპზე. ჩვენ სოლიდარობას გიცხადებთ ახლაც, როცა იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა შეუდგა მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის გეგმების, ეროვნული ეკონომიკის შექმნის გეგმების განხორციელებას თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და თქვენი ქვეყნის ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით. საბჭოთა კავშირს ახარებს იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებანი პროგრესულ სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა განხორციელებაში.

ჩვენთვის გასაგებია ის სიძნელეები, რომლებსაც ახალგაზრდა რესპუბლიკა აწყდება მის მიერ არჩეულ განვითარების გზაზე. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ იმპერიალისტები, კოლონიზატორები ნებაყოფლობით არ ტოვებენ თავიანთ პოზიციებს. თქვენ ეს წიგნებიდან კი არა, განმათავისუფლებელი ბრძოლისა და თქვენს ქვეყანაში ახალი ცხოვრების მშენებლობის მკაცრი გამოცდილებიდან იცით. იმპერიალისტები და მათი აგენტურა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ძირი გამოუთხარონ და შეასუსტონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თქვენს რაიონში, მთელ ახლოაღმოსავლეთში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოშიც. ამისათვის იყენებენ ყოველგვარ საშუალებას: პირდაპირ აგრესიასა თუ აშკარა ჩარევას სუვერენული სახელმწიფოებისა და ხალხების საშინაო საქმეებში, ეკონომიურ ზეგავლენასა თუ პატრიოტული, პროგრესული ძალების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის ვერაგულ მეთოდებს.

მსოფლიო რეაქცია ყოველნაირად ცდილობს კოლონიური ბატონობისაგან განთავისუფლებული ქვეყნები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩამოაშორონ სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოებს, როგორც მათ მთავარ მოკავშირესა და საიმედო დასაყრდენს ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში.

ეს ბრძოლა მოითხოვს ძალებისა და მატერიალური რესურსების სერიოზულ დაძაბვას, რომლებიც ასე მწვავედ საჭიროა კოლონიური წარსულის მძიმე შედეგების აღმოფხვრისათვის, საჭიროა იმისათვის, რომ გარდაიქმნას ხალხთა ცხოვრება განთავისუფლებულ ქვეყნებში, რათა მათ შეძლოთ ისარგებლონ ცივილიზაციისა და კულტურის მთელი სიკეთით. როგორც ჩანს, იმპერიალისტები ვარაუდობენ, რომ ხალხები ვერ გაუძლებენ მათთან ბრძოლას. მაგრამ ასეთი ვარაუდები ქვიშაზეა ნაგები. ამას მოწმობს დიდი ოქტომბრის რევოლუციისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილება, ამას მოწმობს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა და მისი გადაქცევა თანამედროვეობის გადამწყვეტ ძალად, ამას მოწმობენ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა და წარმატებანი მსოფლიო მასშტაბით. როგორიც უნდა იყოს სიძნელეები და განსაცდელი, რომლებიც უნდა გამოიარონ ხალხებმა, მომავალი ეკუთვნით მათ — თავისუფლების, დამოუკიდებლობის, პროგრესისა და მშვიდობის ძალებს, და არა იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის ძალებს.

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას მის ბრძოლაში თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ჩვენს ქვეყნებს შორის დადებული შეთანხმება სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის შესახებ წარმატებით სრულდებოდეს ჩვენი ქვეყნების ხალხებისა და მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის. ანტიიმპერიალისტური კურსი საგარეო პოლიტიკაში, რომელსაც ახორციელებენ იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელობა და მთავრობა, ქმნის ხელშემწყობ პირობებს ჩვენს ქვეყნებს შორის ფართო კონტაქტებისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის საერთაშორისო ასპარეზზე. საბჭოთა კავშირი და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა სოლიდარობით ეკიდებიან ვიეტნამელი ხალხისა და ინდოჩინეთის სხვა ხალხების გმირულ ბრძოლას ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ, აქტიურად იბრძვიან საერთო პოზიციებიდან კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის, იმპერიალიზმისა და რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ, რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის წინააღმდეგ, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

ჩვენი ქვეყნები იღვწიან მთელი იმ ძალების მოქმედების ერთიანობისათვის, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთში, სამართლიანი და მტკიცე მშვიდობისათვის ამ რაიონში. ეს ერთიანობა იმის საწინდარია, რომ ყველა არაბი ხალხის კანონიერი უფლებები და ინტერესები მთლიანად აღდგება. საბჭოთა კავშირი, როგორც ნათქვამი იყო ჩვენი კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის განცხადებაში, კვლავაც თანმიმდევრულად დაუჭერს მხარს არაბ ხალხების სამართლიან საქმეს ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ, მხარს დაუჭერს მათს ღონისძიებებს შელახული უფლებების აღდგენისათვის, ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის სამართლიანი, პოლიტიკური მოწესრიგების უზრუნველყოფისათვის, პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებების დაცვისათვის. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხსა და სახელმწიფოს განამტკიცონ სოლიდარობა არაბულ ქვეყნების ხალხებთან და აქტიურად დაუჭირონ მათ მხარი ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სოციალური სამართლიანობის იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

დღეს დაწყებული მოლაპარაკება, პატივცემულო პრემიერ-მინისტრო, და თქვენი რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან საშუალებას მაძლევს გამოვთქვა რწმენა, რომ თქვენი ვიზიტი საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების მეგობრობისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

ა. ნ. კოსიგინმა ადღეგრძელა პრემიერ-მინისტრი ალი ნასერ მუჰამედი, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრები და ყველა სტუმარი, ახალი ცხოვრების მშენებელი მამაცი იემენელი ხალხი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ალი ნასერ მუჰამედმა.

## ალი ნასერ მუჰამედის სიტყვა

დიდი სიამოვნებით გიხდით მადლობას თქვენ, ამხანაგო ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინ, ჩვენს პატივსაცემად გამართული სადილისათვის. ამასთან დაკავშირებით მეტად ბედნიერი ვარ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და მეგობარ საბჭოთა ხალხს მივესალმო და დიდი პატივისცემა გამოვუცხადო ჩვენი რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის პოლიტიკური ორგანიზაციის, მთავრობისა და ხალხის სახელით.

მთელი მსოფლიოს რევოლუციონერები, ძველი და ახალი ფორმის იმპერიალიზმის, რეაქციისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლები დიდად აფასებენ იმ თვალსაჩინო როლს, რომელსაც საბჭოთა კავშირი ასრულებს ჩვენს ქვეყანაში რევოლუციის, აგრეთვე მსოფლიოს ყველა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერის საქმეში.

მინდა აგრეთვე ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენს ქვეყანაში შესანიშნავად აქვთ შეგნებული: მტკიცე მეგობრობა რომ არა, რომელიც ჩვენს ქვეყანას აკავშირებს სოციალისტურ ბანაკთან საბჭოთა კავშირის მეთაურობით, ჩვენ ვერ დავძლევდით და ვერ გადავჭრიდით იმ პრობლემებს, იმ სიძნელეებს, რომლებიც შეგვიქმნა კოლონიალიზმმა და რომელთა შექმნას ამჟამად ცდილობს ნეოკოლონიალიზმი რეაქციასთან თანამშრომლობით.

ჩემი ახლანდელი ვიზიტი საბჭოთა კავშირში მთავრობის დელეგაციის მეთაურად მაღალ დონეზე მხოლოდ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა ამ ეტაპზე უფრო განმტკიცდა, და ეს ბევრად უწყობს ხელს ჩვენს ქვეყანაში სოციალურ გარდაქმნათა განხორციელებას.

მე ვყოფილვარ საბჭოთა კავშირში ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მუშაობაში. ამ ვიზიტმა საშუალება მომცა გავცნობოდი მშენებლობის ბრწყინვალე პრაქტიკას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ლენინმა, გავცნობოდი თქვენს ქვეყანაში კომუნისტური და პარტიული მშენებლობის ბრწყინვალე პრაქტიკას. ჩვენ ძალიან გვჭირდება საბჭოთა კომუნისტების მდიდარი, უდიდესი გამოცდილება. ეს გამოცდილება ჩვენი რევოლუციის ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა, რომლის განხორციელებისათვისაც ახლა ვიბრძვით ყველა ჩვენი წამოწყებისადმი საბჭოთა ამხანაგების მუდმივი მხარდაჭერით.

ახლა სიტყვები არ მყოფნის, რათა გამოვთქვა ჩემი ქვეყნის მთელი პატივისცემა საბჭოთა ამხანაგებისადმი. მეგობრობა, რომელიც იემენელ ხალხს საბჭოთა კავშირის ხალხებთან აკავშირებს, ამოკვეთილია იმ კლდეებზე, რომლებზეც დაიმსხვრა იმპერიალისტური რეაქციის იმედები, იემენის რევოლუციის მტრების იმედები.

ჩვენი ახლანდელი ვიზიტი საბჭოთა კავშირში აჯამებს, ერთი მხრივ, ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარების შედეგს, მეორე მხრივ, ხელს უწყობს ჩვენი რევოლუციების, ორი ჩვენი ქვეყნის ხალხების ისტორიული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, ეს ვიზიტი მიმდინარეობს იმ მომენტში, როცა ჩვენს რევოლუციაში მძიმე და ძნელი ეტაპი დადგა, რადგან იგი გაძლიერებული იმპერიალისტური და რეაქციული შეთქმულებების ობიექტი გახდა. იმპერიალიზმმა და რეაქციამ ჩვენი ქვეყნების სახით დაკარგეს თავიანთი ეკონომიური, პოლიტიკური, სამხედრო და სტრატეგიული გავლენის მნიშვნელოვანი პოზიციები.

არ შეიძლება სიამაყითა და მადლიერებით არ აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა ამხანაგები დიდ მატერიალურ დახმარებასა და მორალურ მხარდაჭერას გვიწევდნენ და ახლაც გვიწევენ სულ სხვადასხვა დარგში — ეკონომიური, სამხედრო და პოლიტიკურ დარგებში. კერძოდ, სწორედ ამ დახმარებამ და მხარდაჭერამ მისცა საშუალება ჩვენს რევოლუციას დაეძლია და ჩაეფუშა შეთქმულთა ბევრი გეგმის განხორციელება, გადაეჭრა ბევრი ეკონომიური და სამხედრო პრობლემა, რომლებიც იდგა ჩვენს წინაშე.

კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სწორედ საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებამ ჩვენი საქმეებისა და პრობლემებისადმი და იმ როლმა, რომელიც შეასრულა ამ პრობლემების გადაჭრაში, საშუალება მოგვცა დაგვეძლია სიძნელეები, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა აწყდებოდა დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტიდან დღემდე. მინდა ხაზი გავუსვა, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც მუდამ ემხრობა მთელი მსოფლიოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ და რევოლუციურ მოძრაობას, რითაც ხორცს ასხამს ლენინურ პრინციპებს, კვლავაც თვალსაჩინო როლს შეასრულებს იმპერიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისა და მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის გაძლიერებაში.

ნება მიბოძეთ დასასრულ კიდევ ერთხელ მადლობა გადაგიხადოთ თქვენ და მივულოცო თქვენს დიდ ხალხს, რომელმაც მსოფლიოს მისცა ლენინი — მსოფლიოში მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფოს დამაარსებელი, ხალხს, რომელმაც რევოლუციური გზა უჩვენა კოლონიური ბატონობისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლ ყველა ერს.

ალი ნასერ მუჰამედმა გამარჯვება უსურვა იემენ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას, ორი ქვეყნის ხალხთა თანამშრომლობის განმტკიცებასა და განვითარებას, ადღეგრძელა ა. ნ. კოსიგინი და ყველა ამხანაგი.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

# ხელი მოაწერეს შეთანხმებებს

ვაშინგტონი, 30 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ორ შეთანხმებას იმის შესახებ, რომ ორმა ქვეყანამ განახორციელოს ღონისძიებანი მათს კონტროლსდაქვემდებარებული ატომური იარაღის შემთხვევით ან უსანქციოდ გამოყენების თავიდან აცილებისათვის, და განახორციელონ ღონისძიებანი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გამოყენებით სსრ კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების პირდაპირი კავშირგაბმულობის ხაზის სრულყოფისათვის.

საბჭოთა კავშირის სახელით შეთანხმებებს ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ. შეთანხმებათა ხელმოწერის შემდეგ ა. ა. გრომიკომ გააკეთა შემდეგი განცხადება:

„კმაყოფილებას მგვრის ხელი მოვაწერო საბჭოთა კავშირის სახელით ჩვენი ქვეყნების ორ შეთანხმებას: იმის შესახებ, რომ ორმა ქვეყანამ განახორციელოს ღონისძიებანი მათს კონტროლსდაქვემდებარებული ატომური იარაღის შემთხვევით ან უსანქციოდ გამოყენების თავიდან აცილებისათვის, და იმის შესახებ, რომ განახორციელონ ღონისძიებანი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გამოყენებით სსრ კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების პირდაპირი კავშირგაბმულობის ხაზის სრულყოფისათვის.

ორივე ეს შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების მსვლელობაში წარმოიშვა. ისინი, ასე ვთქვათ, 1969 წლის დამლევს დაწყებული ამ მოლაპარაკების პირველი საგრძნობი შედეგია.

მართალია, დღეს ხელმოწერილი შეთანხმებანი სრულიადაც არ წყვეტენ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პრობლემას — ეს ამოცანა უწინდებურად დგას, და მოლაპარაკების მონაწილეებმა უნდა იძიონ მისი გადაწყვეტის გზები.

ამავე დროს ხელმოწერილი შეთანხმებანი სწორი მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს წარმოადგენენ, რამდენადაც ისინი ხელს უწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და ატომური ომის წარმოქმნის საფრთხის შემცირებას.

ამ თვალსაზრისით ისინი სავსებით შეესაბამებიან საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ხაზს და, ჩვენი აზრით, გამოხატავენ ყველა ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს. სწორედ ამიტომ საბჭოთა ადამიანები მიესალმებიან ხელმოწერილ შეთანხმებებს, როგორც იმის მაგალითს, რომ თუ მხარეები მოისურვებენ და გამოიყენებენ კეთილ ნებას, შესაძლებელია მიაღწიონ სასარგებლო შედეგებს.

მინდა გამოვთქვა იმედი, რომ ამ შეთანხმებებს მოჰყვება სხვა შეთანხმებული ნაბიჯები, რომლებიც ჩვენს ორ ქვეყანას შორის ან მათი მონაწილეობით მიმდინარე მოლაპარაკებათა შედეგი იქნება".

შეერთებული შტატების სახელით შეთანხმებებს ხელი მოაწერა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უ. როჯერსმა, რომელმაც თავის გამოსვლაში ასევე დადებითად შეაფასა ხელმოწერილ შეთანხმებათა მნიშვნელობა.

შეთანხმებათა ხელმოწერას ესწრებოდნენ: სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი მ. ლეირდი, განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის სააგენტოს დირექტორი ჯ. სმიტი, სენატორები და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრები, აგრეთვე სხვა საბჭოთა და ამერიკელი ოფიციალური პირნი, მთელი რიგი ქვეყნების ვაშინგტონის დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები.

# შეთანხმება

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ატომური ომის წარმოქმნის საფრთხის შემცირების ღონისძიებათა შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ქვემოთ მხარეებად წოდებულნი,

მხედველობაში იღებენ, თუ რა გამანადგურებელ შედეგებს მოუტანდა მთელ კაცობრიობას ატომური ომი, და აღიარებენ, რომ საჭიროა ყოველი ღონე იხმარონ ასეთი ომის წარმოქმნის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, მათ შორის განახორციელონ ღონისძიებანი ატომური იარაღის შემთხვევით ან უსანქციოდ გამოყენების თავიდან აცილებისათვის,

თვლიან, რომ ღონისძიებათა შეთანხმება ატომური ომის წარმოქმნის საფრთხის შემცირებისათვის შეესაბამება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებს და სრულიადაც არ ეწინააღმდეგება რომელიმე სხვა ქვეყნის ინტერესებს,

ითვალისწინებენ, რომ საჭიროა კვლავაც განაგრძონ ატომური ომის წარმოქმნის საფრთხის შემცირების ხერხების ძიება,

და შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი 1

თვითეული მხარე კისრულობს ვალდებულებას კვლავაც განახორციელოს და სრულყოს ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევს, თავისი ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებანი, რათა თავიდან აიცილოს თავის კონტროლსდაქვემდებარებული ატომური იარაღის შემთხვევით ან უსანქციოდ გამოყენება.

### მუხლი 2

მხარეები კისრულობენ ვალდებულებას დაუყოვნებლივ შეატყობინონ ერთმანეთს ატომური იარაღის შესაძლებელ აფეთქებასთან დაკავშირებული უსანქციო, შემთხვევითი ან სხვა აუხსნელი ინციდენტის შემთხვევაში, რომელსაც შეუძლია წარმოშვას ატომური ომის წარმოქმნის საფრთხე. ასეთი ინციდენტის შემთხვევაში მხარე, რომლის ატომურ იარაღთანაც არის ეს დაკავშირებული, დაუყოვნებლივ ყოველნაირად ეცდება, რათა განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი ასეთი იარაღის გაუვნებლების ან მოსპობისათვის, რომ მან ზიანი არ მოიტანოს.

### მუხლი 3

მხარეები კისრულობენ ვალდებულებას დაუყოვნებლივ შეატყობინონ ერთმანეთს გაფრთხილების სისტემათა მიერ გამოუცნობი ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში რაკეტული თავდასხმის შესახებ ან ამ სისტემებისათვის თუ კავშირგაბმულობის სხვა შესაბამისი საშუალებებისათვის დაბრკოლებათა წარმოქმნის შესახებ, უკეთუ ასეთი მოვლენები წარმოშობს ორ ქვეყანას შორის ატომური ომის წარმოქმნის საფრთხეს.

### მუხლი 4

თვითეული მხარე კისრულობს ვალდებულებას დროულად შეატყობინოს მეორე მხარეს რაკეტების დაგეგმილი გაშვება, თუ ასეთი გაშვება გათვალისწინებულია მისი ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მეორე მხარის მიმართულებით.

### მუხლი 5

თვითეული მხარე აუხსნელ ატომურ ინციდენტებთან დაკავშირებულ სხვა სიტუაციებში კისრულობს ვალდებულებას იმოქმედოს ისე, რომ შეამციროს მეორე მხარის მიერ მისი მოქმედების არასწორად გაგების შესაძლებლობა. ყოველ ასეთ სიტუაციაში თვითეულ მხარეს შეუძლია აცნობოს მეორე მხარეს ან მიმართოს მას შეკითხვით, როცა, მისი აზრით, ეს ნაკარნახევია ატომური ომის წარმოქმნის საფრთხის თავიდან აცილების ინტერესებით.

### მუხლი 6

ვითარების მალე დაზუსტებისათვის საჭირო სიტუაციებში სასწრაფო ინფორმაციის, შეტყობინებისა და შეკითხვების გადასაცემად მხარეები უმთავრესად გამოიყენებენ პირდაპირი კავშირგაბმულობის ხაზს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის.

სხვა ინფორმაციის, შეტყობინებისა და შეკითხვების გადასაცემად მხარეებს, თავიანთი შეხედულებისამებრ შეუძლიათ გამოიყენონ კავშირგაბმულობის ყოველგვარი საშუალებები, მათ შორის დიპლომატიური არხები, იმის შესაბამისად, თუ რამდენად სასწრაფოა ისინი.

### მუხლი 7

მხარეები კისრულობენ ვალდებულებას მოაწყონ ურთიერთშეთანხმებით კონსულტაციები ამ შეთანხმების დებულებათა განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად, აგრეთვე ამ შეთანხმების მიზნების შემდგომი განხორციელებისათვის საჭირო მისი შესაძლო შესწორებების განსახილველად.

### მუხლი 8

ეს შეთანხმება უვადოა.

### მუხლი 9

ეს შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.

შედგენილია ქალაქ ვაშინგტონში 1971 წლის 30 სექტემბერს ორ ცალად, თვითეული რუსულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის სახელით
ა. გრომიკო

ამერიკის შეერთებული
შტატების სახელით
უ. როჯერსი

# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმება სსრ კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების პირდაპირი კავშირგაბმულობის ხაზის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, ქვემოთ მხარეებად წოდებულნი,

აღნიშნავენ დადებით გამოცდილებას, რომელიც დაგროვდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის პირდაპირი კავშირგაბმულობის მოქმედი ხაზის ექსპლოატაციის პროცესში, რომელიც შეიქმნა საგანგებო ვითარებაში გამოსაყენებლად პირდაპირი კავშირგაბმულობის ხაზის გაყვანის თაობაზე შეთანხმების შესახებ 1963 წლის 20 ივნისს ხელმოწერილი მემორანდუმის შესაბამისად,

ურთიერთგაგების სულისკვეთებით განიხილეს პირდაპირი კავშირგაბმულობის ხაზის სრულყოფისა და მოდერნიზაციის საკითხები

და შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი 1

1. კავშირგაბმულობის პირდაპირი ხაზის საიმედოობის ამაღლების მიზნით იქმნება და ამოქმედდება:

ა) ორი დამატებითი არხი კავშირგაბმულობის თანამგზავრთა სისტემის გამოყენებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ამასთან თვითეული მხარე თვითონ ირჩევს კავშირგაბმულობის თანამგზავრთა სისტემას;

ბ) პირდაპირი კავშირგაბმულობის ხაზის ბოლო პუნქტების (ერთზე მეტი) სისტემა თვითეული მხარის ტერიტორიაზე, ამასთან საბოლოო პუნქტების ადგილმდებარეობასა და რიცხვს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში განსაზღვრავს საბჭოთა მხარე, ხოლო ბოლო პუნქტების ადგილმდებარეობასა და რიცხვს ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაზღვრავს ამერიკის მხარე.

2. პირდაპირი კავშირგაბმულობის ხაზის ზემოაღნიშნული სრულყოფის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები ჩამოყალიბებულია დანართში, რომელიც ახლავს ამ შეთანხმებას და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

### მუხლი 2

თვითეული მხარე ადასტურებს, რომ განზრახული აქვს განახორციელოს ყველა შესაძლო ღონისძიებანი კავშირგაბმულობის არხებისა და პირდაპირი კავშირგაბმულობის ხაზის ბოლო პუნქტების სისტემის შეუფერხებელი და საიმედო მუშაობის უზრუნველსაყოფად, რისთვისაც ეკისრება პასუხისმგებლობა ამ შეთანხმების და მისი დანართის შესაბამისად. აგრეთვე უზრუნველყოს თავისი მთავრობის მეთაურისათვის ყველა იმ ცნობის გადაცემა, რომლებსაც კავშირგაბმულობის პირდაპირი ხაზით გადმოსცემს მეორე მხარის მთავრობის მეთაური.

### მუხლი 3

პირდაპირი კავშირგაბმულობის ხაზის გაყვანის თაობაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმების შესახებ 1963 წლის 20 ივნისს ხელმოწერილი მემორანდუმი და მისი დანართი ძალაში რჩება იმ ცვლილებათა გათვალისწინებით, რომლებიც დებულებაში შეაქვს ამ შეთანხმებას და მის დანართს.

### მუხლი 4

ვალდებულებებს, რომლებიც მხარეებმა იკისრეს ამ შეთანხმებით, ისინი ასრულებენ თავიანთი კონსტიტუციური პროცესების შესაბამისად.

### მუხლი 5

ეს შეთანხმება, მისი დანართის ჩათვლით, ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

შედგენილია ქალაქ ვაშინგტონში 1971 წლის 30 სექტემბერს ორ ცალად, თვითეული რუსულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის სახელით
ა. გრომიკო.

ამერიკის შეერთებული
შტატების სახელით
უ. როჯერსი.

□ □ □

სსრ კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების პირდაპირი კავშირგაბმულობის ხაზის სრულყოფის ღონისძიებათა თაობაზე შეთანხმების დანართში განსაზღვრულია კავშირგაბმულობის ორი — სადენისა და რადიოს მოქმედი არხების დამატებით ორი სათანამგზავრო არხის ამოქმედებისა და ექსპლოატაციის ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებანი. გათვალისწინებულია, რომ საბჭოთა მხარე კავშირგაბმულობის სათანამგზავრო არხს უზრუნველყოფს „მოლნიის" სისტემის საშუალებით, ხოლო ამერიკის მხარე — „ინტელსატის" სისტემის საშუალებით. აგრეთვე კონკრეტულად აღნიშნულია თვითეული მხარის მოვალეობანი შესაბამისი თანამგზავრებისა და დედამიწის სადგურების საშუალებით საიმედო და შეუფერხებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. დადგენილია პირდაპირი კავშირგაბმულობის ხაზის სრულყოფისათვის მხარეთა ხარჯების განაწილების წესი.

## საბჭოთა კავშირ-იემენის მოლაპარაკება დამთავრდა

1 ოქტომბერს კრემლში გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში დამთავრდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრისა და თავდაცვის მინისტრის ალი ნასერ მუჰამედის მოლაპარაკება.

განიხილეს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საკითხები ეკონომიურ და სხვა დარგებში, გაგრძელდა აგრეთვე აზრთა ურთიერთგაზიარება უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე მდგომარეობის საკითხებზე. (საკდესი).

## გულითადი მილოცვა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ ჩილეს რესპუბლიკის პრეზიდენტს სალვადორ ალიენდე გოსსენს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც გულითადად მიულოცა და ყოველივე საუკეთესო უსურვა ჩილეს რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის დღის გამო.

საბჭოთა ადამიანები, ნათქვამია დეპეშაში, დიდი სიმპათიით ეკიდებიან სალვადორ ალიენდეს მთავრობის საქმიანობას და მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, უსურვებენ შრომისმოყვარე ჩილელ ხალხს შემდგომ წარმატებებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

დეპეშაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირსა და ჩილეს რესპუბლიკას შორის წარმატებით ხორციელდება სავაჭრო-ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობა, რაც ხელს უწყობს ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

საპასუხო დეპეშაში ჩილეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა გულითადი მილოცვისათვის ჩილეს ეროვნული დამოუკიდებლობის წლისთავთან დაკავშირებით.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის მიერ გამოთქმული სოლიდარობის გრძნობები ჩილეს ხალხს აღაფრთოვანებენ სახალხო ერთიანობის მთავრობის ამოცანების შესრულებისათვის. დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ ჩილესა და საბჭოთა კავშირს შორის მჭიდრო ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის. (საკდესი).

## დელეგაცია ტაშკენტიდან გაემგზავრა

ტაშკენტი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის მეთაურობით, რომელიც მეგობრული ვიზიტით მიდის ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ხანმოკლე შეჩერების შემდეგ დღეს გაემგზავრა ტაშკენტიდან.

## ნ. ვ. პოდგორნი დელში

დელი, 1 ოქტომბერი. (საკდესის კორ.). დღეს აქ ჩამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმავალი საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე არმიის გენერალი ს. ლ. სოკოლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ი. ტ. გრიშინი.

პალამის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო სსრ კავშირისა და ინდოეთის სახელმწიფო ალმებით, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ ინდოეთის პრეზიდენტი ვ. ვ. გირი, ინდოეთის მთავრობის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირნი.

შემხვედრთა შორის იყვნენ სსრ კავშირის ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში ნ. მ. პეგოვი და საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

დელი, 1 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ინდოეთის პრეზიდენტი ვ. ვ. გირი ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის და მეგობრულად ესაუბრა.

საუბარს დაესწრო საბჭოთა კავშირის ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში ნ. მ. პეგოვი.

დელი, 1 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის საკითხებზე და მთელ რიგ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

საუბარს დაესწრო საბჭოთა კავშირის ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში ნ. მ. პეგოვი.

დელი, 1 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი დღეს ეწვია ინდოეთის პრეზიდენტს ვ. ვ. გირის.

შეხვედრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

საუბარში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები კ. ტ. მაზუროვი, კ. თ. კატუშევი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში ნ. მ. პეგოვი.

საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ინდოეთში გაემგზავრა

30 სექტემბერს ინდოეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის მუშაობაში მონაწილეობისათვის ინდოეთში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. ა. კუნაევი (დელეგაციის მეთაური), სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის კომპარტიის ხარკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ი. ვაშჩენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ სარატოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. შიბაევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე რ. ა. ულიანოვსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების სექტორის გამგე პ. ვ. კუცობინი.

იმავე დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია დელში ჩავიდა. (საკდესი).

## საქდესის განცხადება

სექტემბრის დამლევს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალები კვლავ თავს დაესხნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას და ბარბაროსულად დაბომბეს ქვეყნის სამხრეთი პროვინციების მჭიდროდ დასახლებული რაიონები. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, მარტო 21 სექტემბრის თავდასხმის შედეგად კუანგბინის პროვინციაში დაიღუპა ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები, დაინგრა საცხოვრებელი სახლები, დაზარალდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება. მომდევნო დღეებში ამერიკის ჰაერის მეკობრეები კვლავ იჭრებოდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში.

ამერიკის უწყებათა ოფიციალური წარმომადგენლები ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს თავდასხმები, რომლებიც პირადად მოიწონა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ხორციელდებოდეს ეგრეთწოდებული „თავდაცვითი რეაქციის პოლიტიკის" საფუძველზე. ეს ნიშნავს, თითქოს შეერთებულ შტატებს უფლება ჰქონდეთ ჰაერიდან თავს დაესხან ყოველ ობიექტს ამერიკის სამხედრო სარდლობის შეხედულებისამებრ. ისმება კითხვა, ვინ მისცა შეერთებულ შტატებს ასეთი უფლება, რა საფუძველზე თელავენ უხეშად სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას? ვაშინგტონი აბათილებს საკუთარ ვალდებულებებს შეწყვიტოს ჩრდილოეთ ვიეტნამის ტერიტორიის დაბომბვა და, ფართოდ რეკლამირებული განცხადების საწინააღმდეგოდ, რომ ისწრაფვის „საპატიო" მოწესრიგებას, განაგრძობს პროვოკაციებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ცდილობს საერთაშორისო პრაქტიკაში დააკანონოს აგრესიისა და შეიარაღებული შანტაჟის მეთოდები.

ამერიკელ პოლიტიკოსთა ვარაუდი, რომ ახალი აგრესიული აქციებით შეუძლიათ შეაშინონ ვიეტნამელი ხალხი, ხელი აიღებინონ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის განგრძობაზე, უაღრესად მცდარია. ხანგრძლივ და გააფთრებულ ბრძოლაში ვიეტნამელმა ხალხმა მთელ მსოფლიოს უჩვენა უმაგალითო მამაცობისა და თავდადების, სიმტკიცისა და გმირობის მაღალი ნიმუშები. ვერც ბარბაროსული დაბომბვა, ვერც პოლიტიკური მანევრები და დიპლომატიური ინტრიგები ვერ გატეხენ ვიეტნამელი ხალხის ნებას და თავს ვერ მოახვევენ მას ნეოკოლონიალისტურ წესებს. საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების დახმარებაზე დაყრდნობით ვიეტნამელი ხალხი მტკიცედ იგერიებს აგრესორის ყოველ ხელყოფას.

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი. საბჭოთა კავშირში გადაჭრით გმობენ ახალ შეიარაღებულ პროვოკაციებს სოციალისტური სახელმწიფოს — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირი, რომელიც ახორციელებს თანმიმდევრულ და პრინციპულ პოლიტიკას, კვლავაც გაუწევს გმირ ვიეტნამელ ხალხს დახმარებასა და მხარდაჭერას იმპერიალისტური აგრესიის წარმატებით მოგერიებისათვის. ეჭვი არ არის, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხები, მათ შორის მილიონობით ამერიკელი, რომლებიც მოითხოვენ ვიეტნამის წინააღმდეგ აგრესიის შეწყვეტას, გადაჭრით აღიმაღლებენ ხმას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მეკობრული თავდასხმების, როგორც უგუნური აქტის წინააღმდეგ, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ მთელი ვითარების შემდგომი გამწვავება ინდოჩინეთში.

# ერთგულებას გეფიცებით, პარტიავ!

(დასასრული).

ყველა კომუნისტს კომკავშირზე ყოველდღიური ზრუნვისათვის, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში გაწეული თავდადებული შრომისათვის.

როგორც მთის ნაკადულები ერთვიან მდინარეებს, ისე კომკავშირის ზევრი რაზმის, მათ შორის საქართველოს კომკავშირის საქმენი ერწყმიან მთელი ლენინური კომკავშირის — კომუნისტური პარტიის მებრძოლი თანაშემწისა და რეზერვის საერთო შრომას.

ახლა ჩვენ არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება, ახალი, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება. ლენინური კომკავშირი ცდილობს თავდადებული შემოქმედებითი შრომით უპასუხოს პარტიის ზრუნვას, გაამართლოს სრულიად საკავშირო ალკკ საქმიანობის ის მაღალი შეფასება, რომელიც მიეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებაში, ყრილობის დოკუმენტებში.

ბ. პასტუხოვმა რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციას გადასცა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო დროშა.

მე წილად მხვდა დიდი პატივი ვიყო დღეს აქ რესპუბლიკის სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენელი, — თქვა საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონმა ჭადრაკში ქალთა შორის, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრმა **ნანა ალექსანდრიამ**, — ყველა იმ მომავალი მეცნიერის, ინჟინრის, მასწავლებლის, წარმოების მეთაურის, ექიმისა და აგრონომის წარმომადგენელი, რომლებიც დღეს შეკავშირებული არიან ერთსულოვან სტუდენტურ რაზმად და მიდიან საერთო მარშრუტით — ცოდნისათვის ლაშქრობაში. უფართოესი შესაძლებლობანი აქვს ჩემს თაობას ამ ლაშქრობაში. ხალხი ამ გზაზე გვაიარაღებს მთელი თავისი გამოცდილებით, მთელი თავისი ღრმა თანამედროვე ცოდნით, და ჩვენ არ შეიძლება არ ვაფასებდეთ ამას — ყოველივე ის, რასაც დღეს აუდიტორიებში ვსწავლობთ. ხვალ ხომ ჩვენი საბრძოლო იარაღი უნდა გახდეს. ამიტომაც ახლა ჩვენი უპირველესი ამოცანაა სწავლა!

ნანა ალექსანდრიამ ილაპარაკა სტუდენტთა დიდ წარმატებებზე სწავლაში, შრომაში, სპორტში და დასასრულ აღნიშნა: ყველა ეს წარმატება გვახარებს, მაგრამ არ გვანცვიფრებს. ისინი წარმოშვა ჩვენი ცხოვრების მთელმა წყობილებამ, ხალხის, პარტიის, კომკავშირის ზრუნვამ. და ხვალ ეს წარმატებანი უნდა იყოს და კიდევაც იქნება უფრო დიდი, უფრო მნიშვნელოვანი. პარტიის XXIV ყრილობამ ახალი ამოცანები დაგვისახა. ეს არის მთელი ხალხის, და უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობის მოქმედების საბრძოლო პროგრამა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადემ, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრმა **ი. მარგალიტაძემ** თავის გამოსვლაში ილაპარაკა მეტალურგებზე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მოწინავე ახალგაზრდა მუშებზე. ახლა ჩვენს საწარმოში, — თქვა მან, — შრომობს ორი ათასამდე კომკავშირელი და საკუთარი ხელით ქმნის სამშობლოს ძალასა და ძლიერებას. ჩვენს ქარხანაში 18 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადაა და მათ შორის ის, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ და რომელიც ემსახურება ბრძოლას და ატარებს ქართული კომკავშირის დამფუძნებლის ბორის ძნელაძის სახელს.

სიამაყით გაცნობებთ, რომ ჩვენ, რუსთაველმა მეფოლადეებმა, წარმატებით შევასრულეთ ნაკისრი ვალდებულება და გუშინ საქართველოს კომკავშირის იუბილეს აღსანიშნავად გამოვუშვით 50-ე ჩქაროსნული ნადნობი. ამას გარდა სახელმწიფოს ჩავაბარეთ 600 ტონა ზეგეგმითი მაღალხარისხოვანი ფოლადი.

ჩვენ გადავწყვიტეთ მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს სამშობლოს მივცეთ 1100 ტონა ზეგეგმითი ფოლადი და თვითეულ ტონაზე დავზოგოთ 3 კილოგრამი სათბობი, 30 პროცენტით შევამციროთ წუნი, ავიყვანოთ მარტენის სიმძლავრე 400 ნადნობამდე.

ჩვენი კოლექტივის სახელით პირობას ვდებ, რომ პირნათლად შევასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს, ძალღონისა და ენერგიის დაუზოგავად ვიბრძოლებთ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

თავის გამოსვლაში ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მეჩაიემ, სოციალისტური შრომის გმირმა **ქ. გოგიტიძემ** თქვა:

—ჩვენ, 70-ანი წლების ახალგაზრდობა, პირველ კომკავშირელთა მემკვიდრენი ვართ, რომლებსაც სიამაყით შემოჰყავდათ სოფლებში ვარდ-ყვავილებით მორთული პირველი ტრაქტორები, იმათი, ვინც არ იშურებდა სიცოცხლეს კულაკების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენ იმათი სულიერი მემკვიდრენი ვართ, ვინც შეძახილით „სამშობლოსათვის", ხელყუმბარით [illegible] ფაშისტურ ტანკებს, იმარჯვებდა ცეცხლთან და ლითონთან ჭიდილში და თავისი სიკვდილითაც კი შიშის ზარს სცემდა მტრებს.

ქ. გოგიტიძემ ილაპარაკა მის მშობლიურ სოფელ ბობოყვათში მომხდარ დიდ გარდაქმნებზე და განაგრძო: ჩვენი ახალგაზრდობა მამაცური შრომით უპასუხებს პარტიის ზრუნვას. ჩვენი სოფლის კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს წელს გეგმით უნდა მოეკრიფათ 650 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ჩვენ კი 670 ტონა მოვკრიფეთ. კომკავშირის იუბილეს აღსანიშნავად დამატებით ჩავაბარეთ 25 ტონა ნედლეული, პირადად მე 7600 კილოგრამი ჩაი მოვკრიფე.

არასოდეს არ დამავიწყდება ის სიხარული, როცა მე, 23 წლის ქალიშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ამირჩიეს. რას გვავალებს ეს პატივი მე და ჩემს თანატოლებს? მუდამ მოწინავეთა რიგებში ვიყოთ, ვიბრძოლოთ ჩვენი დედა-სამშობლოს ძლიერების კიდევ უფრო გადიდებისათვის, მისი აყვავებისათვის.

პირობას ვაძლევთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს, რომ მუდამ მის ღირსეულ შვილთა რიგებში ვიქნებით.

გამოდის ქარხანა „პლასტმასის" კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი **ზ. ბუხანკოვა**. იგი ამბობს: საქართველოში 80 ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ, რომლებიც მხარდამხარ ნაყოფიერად შრომობენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში მათი შემდგომი განვითარებისა და აყვავებისათვის. თვითეულ მათგანს თავისი წვლილი შეაქვს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინასწარდასახულობათა განხორციელებაში. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთათვის ესოდენ დამახასიათებელი ურთიერთგაგების, პატივისცემის, უანგარო მეგობრობის გრძნობები საკუთარ თავზე გამოვცადე.

მე, ტიანეთში გაზრდილი რუსი ქალიშვილი, ღვიძლ შვილსავით მიმიღო თბილისის ქარხანა „პლასტმასის" კოლექტივმა, შემიქმნა ყველა პირობა ნიჭის გამოსავლინებლად.

სწორედ ასე გაიზარდა და მიიღო შრომითი წრთობა ჩვენს ქალაქში ათასობით ქალიშვილმა და ჭაბუკმა. რომლებმაც სახელი გაუთქვეს საქართველოს ახალგაზრდობას. ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს უფროსი თაობის მზრუნველობამ და ყურადღებამ, უფროსი ოსტატების მიერ ახალბედებისათვის გამოცდილების გაზიარების ძვირფასმა ტრადიციამ.

ტრიბუნაზეა პოეტი, ლენინური კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატი **ჯ. ჩარკვიანი**:

— ღონიერსა და თავისუფალ ქვეყანას ყოველთვის ედღესასწაულება, — ამბობს იგი, —ჩვენში უამრავი დღე რაიმე მნიშვნელოვან თარიღს უკავშირდება. გადაშალეთ კალენდარი, და თვალს მოგჭრით მისი ალისფერობა — „იდიდე, ჩემო სამშობლოვ!".

ავერ ახლახან ქართველმა ხალხმა სიყვარულით იზეიმა საბჭოთა საქართველოსა და მისი კომუნისტური პარტიის 50 წელი, ჩვენი ერისა და მისი კულტურის აღორძინების ორმოცდაათი წელი. ჯერ თბილისში, შემდეგ კი მოსკოვში შეიკრიბნენ ჩვენი გამოჩენილი პარტიული მოღვაწენი, რათა თავიანთ ყრილობებზე ერთხელ კიდევ ეჩვენებინათ მსოფლიოსათვის ჩვენი რიგების მონოლითურობა. ამას მოჰყვა ჩვენი დიდი მწერლობის საკავშირო ფორუმი — მეხუთე ყრილობა, სადაც, საქართველოს წარგზავნილები ვამაყობდით ჩვენი დიდი საბჭოთა მწერლობით. სულ ახლახან ქართველმა მწერლებმა მეგობრული ხელი გაუწოდეს მებრძოლ ვიეტნამს. ამ დღეებში ზეიმით აღვნიშნეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი პრეზიდენტის ნ. მუსხელიშვილის იუბილე. ქართული ჩაის დიდოსტატებმა მამულს უპატაკეს, რომ გამარჯვებით ჩამოიტოვეს დიდი და თავდადებული შრომის სახელოვანი 1971 წელი.

და აი, დღეს ვზეიმობთ ჩვენი გმირი ახალგაზრდობის ავანგარდის პარტიის ერთგული თანაშემწის, ჩვენი საყვარელი კომკავშირის იუბილეს.

დიდება ჩვენს კომკავშირს! 50 წელი შეუსრულდა მას, მაგრამ იგი ათასი წლისაც რომ იყოს, მარად ახალგაზრდა დარჩება, 50 წელი შეუსრულდა ჩვენი ახალგაზრდობის ლიტერატურულ დროშასაც, ბრძოლის ქარცეცხლში გამოვლილ, წმიდათაწმიდა დროშას.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის დიდებული შენობის საძირკველში ჩადებულია ახალგაზრდობის მიერ მიტანილი აგურიც. ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლები სიამაყით ატარებენ ლენინური კომკავშირის ლაურეატთა წოდებას!

„იდიდე, ჩემო სამშობლოვ!" — გჯეროდეს, კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით შენი მაღალი და მართალი დროშის გარშემო. ახალგაზრდობა, რომელსაც წუთითაც არ ავიწყდება თავისი გმირი წინაპრები, კვლავაც გაგახარებს დიდი და სასახელო საქმეებით.

საზეიმო პლენუმის მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის კომკავშირელი მეომრები. კომკავშირელ მეომართა სახელით გამოვიდა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებული ლეიტენანტი **ვ. პაშინი**.

საზეიმო პლენუმის მონაწილეებმა ტაშის გრიალში მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა **ჯ. პატიაშვილმა**.

საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო პლენუმი მუშაობას ამთავრებს. ჩვენს თვალწინ გაიარა გმირული ნახევარი საუკუნის მთელმა ისტორიამ, გაცოცხლდა ჩვენი კომკავშირის შემართების, მამაცობის, გამარჯვებების მატიანის ფურცლები. აღფრთოვანებითა და სიამაყით ვისმენდით ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძის სიტყვებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ბორის ნიკოლოზის-ძე პასტუხოვის სიტყვას, კომკავშირის ვეტერანებისა და ჩვენი თანატოლების, შრომის ახალგაზრდა გმირების, ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმომადგენლების გამოსვლებს.

ამ სასიხარულო დღეებში საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოო კოლექტივების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების უამრავი მისალმება და მილოცვა. ჩვენ გულითად მადლობას ვუძღვნით ყველას მილოცვებისა და მისალმებების გულთბილი სიტყვებისათვის, კეთილი სურვილებისათვის. ყოველივე ამას პასუხი იქნება საქართველოს ათასობით ქალიშვილისა და ჭაბუკის თავდადებული შრომა, ახალი კომკავშირული მიღწევები სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჩვენ ორმოცდაათი წლის მიჯნას გავცდით წინა თაობათა გამოცდილებით გამდიდრებული, საქმიანობის წყურვილითა და იმ რწმენით აღსავსენი, რომ შევძლებთ გავამართლოთ პარტიის, სამშობლოს, ხალხის ნდობა. ჩვენ ვადგავართ პარტიის — ახალგაზრდობის მასწავლებლისა და გამარჯვებათა სულისჩამდგმელის მიერ ნაჩვენებ გზას. და ეს არის კომუნისტურ აღზრდაში, შრომასა და სწავლაში, კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის მწვერვალების დაუფლებაში ახალი მიღწევების მთავარი საწინდარი.

ჩვენ საქვეყნოდ აღვუთქვამთ კომუნისტთა პარტიას, რომ საქართველოს კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისათვის არა არის რა იმაზე უფრო საპატიო მოვალეობა, რომ ემსახურონ ხალხის საქმეს, პარტიის საქმეს, რომ ისინი არ დაიშურებენ ძალღონესა და ენერგიას ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი განვითარების იმ გრანდიოზული პროგრამის შესასრულებლად, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ დაგვისახა, IX ხუთწლედის დიდებული გეგმების შესასრულებლად.

შეკრებილთა ტაშის გრიალში დარბაზიდან გამოაქვთ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის დროშა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო დროშები.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური და თბილისის საქალაქო კომიტეტების საზეიმო პლენუმი დახურულად ცხადდება.

ყველა მონაწილე ფეხზე დგება და მღერის „ინტერნაციონალს".

• • •

**საღამოს** საზეიმო პლენუმის მონაწილეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი. (საქტაგი).

## ო. კალანდაძე

გარდაიცვალა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, ლენინის ორდენოსანი, პერსონალური პენსიონერი ოლღა (ფოცია) ანანიას ასული კალანდაძე.

ფოცია კალანდაძე დაიბადა 1894 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში. რევოლუციონერის ოჯახში.

ქუთაისის ეპარქიალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1920 წლამდე იგი მუშაობდა გურიის სხვადასხვა სოფლებში (ერკეთი, ბასილეთი, ჩოხატაური, ხიდისთავი) ქართული და რუსული ენების მასწავლებლად. ამავე დროს აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთებში („აზრი", „მერცხალი", „თემი" და სხვ.) „ნიავისა" და „კასიოპეას" ფსევდონიმებით. მისი წერილები ეხებოდა მეთოდურ საკითხებს, სახალხო მასწავლებლის მუშაობას.

ამავე წლებში ფ. კალანდაძე სისტემატურად ეწეოდა განმანათლებელ მუშაობას: ხელმძღვანელობდა ქალთა არალეგალურ წრეს, ამ წრის წევრებს უკითხავდა ჟურნალ-გაზეთებს, ესაუბრებოდა ქალთა მდგომარეობის შესახებ, მუშაობდა თეატრში, მართავდა ლიტერატურულ საღამოებს და ფართო საზოგადოებას აცნობდა ჩვენი დიდი მწერლების ნაწარმოებებს.

ფ. კალანდაძე იყო სოფელ ხიდისთავში უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლის დაარსების ერთ-ერთი მოთავე. იგი ამ სკოლაში მუშაობდა მისი დაარსების დღიდან — 1916 წლიდან 1920 წლამდე.

1920 წელს იგი გადმოიყვანეს თბილისის 25-ე სკოლაში, ხოლო 1933 წლიდან 1957 წლამდე (პენსიაზე გასვლამდე) მოღვაწეობდა მე-15 სკოლაში, რომელიც შემდეგ 54-ე სკოლად გადაკეთდა.

პედაგოგიურ მუშაობასთან შეთავსებით 1923 წელს ის შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, რომელსაც 1927 წელს ამთავრებს. ამავე წლიდან სისტემატურად ხელმძღვანელობს სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკას ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

1939 წელს სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის მას მიენიჭა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. სამამულო ომის წლებში დააჯილდოეს მედლით „შრომითი მამაცობისათვის", ხოლო 1949 წელს ლენინის ორდენით.

შესანიშნავი აღმზრდელი, მოქალაქე და გულისხმიერი ადამიანი ფ. კალანდაძე დიდხანს ემახსოვრებათ მის ამხანაგებსა და აღზრდილებს.

**ამხანაგების ჯგუფი.**

# ახალგაზრდობისა და ხალხთა ძმობის დღესასწაული

## ინტერნაციონალური მეგობრობის საღამო

**ახალგაზრდული** შემართება, მხიარულება, სილამაზე მოიტანეს თან სპორტის სასახლეში საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო ზეიმის მონაწილეებმა.

დარბაზში, სადაც ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოზე შეიკრიბნენ საქართველოს ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები, ლენინური კომკავშირის აღზრდილები, კომკავშირული მოძრაობის ვეტერანები, მოსკოვისა და ლენინგრადის, მოძმე რესპუბლიკების კომკავშირულ ორგანიზაციათა დელეგაციები, ჩვენი რესპუბლიკის ყველა რაიონის წარმომადგენლები, საზეიმო განწყობილება სუფევდა.

ზეიმურად ჟღერს ფანფარები, რომლებიც სიჭაბუკის დღესასწაულის დაწყებას იუწყებიან. მარშის ხმებში დარბაზში შემოაქვთ სპორტული დროშები. მოდიან ქართული სპორტის სახელგანთქმული წარმომადგენლები. ბევრი მათგანის, საქართველოს კომკავშირის აღზრდილის სახელები ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

გამოცდილი სპორტსმენების გვერდით მოაბიჯებენ ნორჩი ფიზკულტურელები — ქართული სპორტის ხვალინდელი დღე, მათ ჯერ კიდევ უნდა თქვან თავიანთი სიტყვა, შეავსონ ქართველ სპორტსმენთა მაღალი წოდებანი და ჯილდოები ახალი ჯილდოებით.

აციმციმდა კინოკადრები... ყოველი კომკავშირელისათვის ძვირფასი სიმბოლოები — სრულიად საკავშირო ალკკ სამკერდე ნიშანი, კომკავშირულ ორგანიზაციათა დროშები, რომლებიც ღირსეულად გამოატარეს ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

ეკრანზე გამოჩნდა ხალხთა დიდი ბელადი **ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი**, ახალგაზრდობის დიდი მეგობარი, რომელმაც კომკავშირს პარტიის ერთგული თანაშემწე უწოდა.

ეკრანზე ერთმანეთს ზედიზედ ცვლიან კომკავშირის ისტორიის შთამბეჭდავი კადრები. აი პირველ კომუნისტურ შაბათობათა მონაწილე ქალიშვილები და ჭაბუკები, აი კოლხეთის პირველი დამშრობები, ეს კადრები კი საქართველოს ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პირველ დღეებს ასახავს. და როცა ამ კადრებს უყურებ, დიდი სიამაყის გრძნობით იმსჭვალები ქალიშვილებისა და ჭაბუკების საქმეებისათვის. ისინი, მათი შთამომავლები აშენებდნენ ახალ ქარხნებსა და ფაბრიკებს, უმაღლეს სასწავლებლებს, სკოლებსა და თეატრებს, ისინი აშენებდნენ ბაღებსა და ვენახებს. მათ გადააქციეს საქართველო აყვავებულ, სასიხარულო მხარედ. ისინი იცავდნენ იარაღით ხელში საბჭოთა ხელისუფლების დიად მონაპოვრებს, მიდიოდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გამხეცებული ფაშიზმის წინააღმდეგ, უყოყმანოდ სწირავდნენ სიცოცხლეს საბჭოთა სამშობლოსათვის.

გაერთიანებული გუნდი ასრულებს სიმღერას „კომკავშირულს". მუდამ გველოთ კომკავშირული შემართებით, ნათქვამია მასში, იდიდე, იდიდე, იდიდე, კომკავშირო!

საქართველოს კომკავშირის ნახევარი საუკუნის იუბილე, — თქვა შესავალ სიტყვაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯ. პატიაშვილმა**, რომელმაც გახსნა საღამო, — მიმდინარეობს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში, მასების შემოქმედებითი აქტივობის უმაგალითო აღმავლობის ვითარებაში. საბჭოთა საქართველოს დღევანდელი წარმატებანი ლენინური ეროვნული პოლიტიკის, საბჭოთა კავშირის ხალხთა თანასწორუფლებიანობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების პოლიტიკის განხორციელების შედეგია.

შემდეგ იუბილარს გულთბილად მიესალმნენ — უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ა. კაპტო**, სრულიად საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ვ. შადრინი**, ბელორუსიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. ხოვლოვსკი**, ყაზახეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ზ. კამალიდენოვი**, სრულიად საკავშირო ალკკ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი **ლ. ბურლაკოვი**, აზერბაიჯანის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **რ. ასკეროვი**, სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ლ. საჰაკიანი**, მოლდავეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ვიშკუ**, ლატვიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ბრესისი**, ლიტვის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. კლიკუნენე**, თურქმენეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ა. დურდიევი**, ყირგიზეთის ალკკ ისიკ-ყულის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **მ. უკეიმპიროვა**, ტაჯიკეთის დელეგაციის ხელმძღვანელი, ახალგაზრდული ჟურნალის „მაშალის" რედაქტორი **მ. ხაკიმოვა**, ესტონეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. კულასტე**, სრულიად საკავშირო ალკკ ყაბარდო-ბალყარეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. ზუმაკულოვი**.

თავიანთ გამოსვლებში მოძმე რესპუბლიკების კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა გულმხურვალედ მიულოცეს საქართველოს კომკავშირელებს, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს მათი კომკავშირული ორგანიზაციის 50 წლისთავი, უსურვეს ახალი დიდი მიღწევები სწავლაში, შრომასა და ცხოვრებაში.

მთელ საღამოს მელოდიური ქართული სიმღერები, საბჭოთა პოეტების ლექსები ადიდებდნენ იუბილარს, ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა მეგობრობასა და ძმობას. კიდევ უფრო მეტი მხიარულება და ზეიმური განწყობილება შექმნეს ცეცხლოვანმა, ტემპერამენტიანმა ქართულმა ცეკვებმა.

საღამოს აპოთეოზი იყო მისი დასკვნითი ნაწილი. დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნის ჰანგებში სპორტის სასახლის უზარმაზარი სცენა აავსეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა. ისინი ცეკვით ასახავდნენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთიანობასა და ძმურ შეკავშირებას, რაც მსოფლიოს ყველა პროგრესული ხალხისათვის მაგალითს წარმოადგენს.

დაიწყო საღამოს მონაწილეთა პარადი. დარბაზში აკაშკაშდა მრავალფერი ჩირაღდნების ფოიერვერკი. და კვლავ გაისმა სიმღერა, რომელიც ადიდებს მარად ახალგაზრდა კომკავშირს, ჩვენს საბჭოთა სამშობლოს.

• • •

საღამოს დაესწრნენ: **შ. კიკნაძე, ო. ლოლაშვილი, ვ. მჟავანაძე, ნ. ცხაკაია, გ. ძოწენიძე, შ. ჭანუყვაძე, რ. მეტრეველი, თ. მოსაშვილი, ჯ. პატიაშვილი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე **ი. პუგაჩოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ვ. ვასილიევი**, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **ბ. პასტუხოვი**. (საქტაგი).

მოგილოცავთ, მეგობრებო!

## საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიების მინიჭება

**ახალგაზრდობის** თემებზე ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებთა შექმნისა და ახალგაზრდა თაობის კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიები მიანიჭა:

1. **პოეტ მორის ფოცხიშვილს** — ლექსების კრებულებისათვის „რწმენა", „ხარულა და ხარბარა" და საქართველოს კომკავშირისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლისათვის.
2. **კომპოზიტორ გიორგი ცაბაძეს** — სიმღერებისათვის „ბალადა ჯარისკაცის დედაზე", „საქართველო და დედა", „მთაწმინდის მთვარე", „თბილისის სერენადა", „საქართველო" და სიმღერისათვის „სიჭაბუკე", რომელიც საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნება.
3. **არქიტექტორებს ვახტანგ დავითაიას და ალექსანდრე ჩიქოვანს, მოქანდაკე გულდა კალაძეს** — კავკასიის გმირი დამცველების მემორიალური ანსამბლის პროექტისათვის, რომელიც დაიდგა ყარაჩაევოში — ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში.
4. **რეჟისორ ნოდარ ჩხეიძეს** — ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის.
5. **მესხეთის სახელმწიფო თეატრს** — უკანასკნელ წლებში მიღწეული წარმატებებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის. (საქტაგი).

# აჭარის ჟურნალისტთა ყრილობა

ბათუმი. (საქტაგი). გაიმართა აჭარის ჟურნალისტთა ყრილობა. იგი გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის აჭარის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, გაზეთ „საბჭოთა აჭარის" რედაქტორმა შ. ქურიძემ.

დელეგატებმა ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის აჭარის განყოფილების გამგეობის საანგარიშო მოხსენება გააკეთა შ. ქურიძემ.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის აჭარის განყოფილების სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ — გაზეთების „საბჭოთა აჭარისა" და „სოვეტსკაია ადჟარიას" გამომცემლობის გამგემ შ. არუთინოვამ.

კამათში მონაწილეობდნენ — ქობულეთის რაიონული გაზეთის „ლენინელის" რედაქტორი ა. ლოლიძე, გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიას" რედაქტორი გ. მარღანიძე, შუახევის რაიონული გაზეთის „დროშის" რედაქტორი ს. კაკაურიძე, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერის „მაიკოპის" კაპიტნის მესამე თანაშემწე ა. თურქია, ხელვაჩაურის რაიონული გაზეთის „ოქტომბრის გზით" რედაქტორი დ. ბორჩხაძე, სოფელ ახალშენის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე ე. ცინცაძე, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის მოწინავე ხარატი თ. ანდღულაძე და ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე რ. სურმანიძე.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვით გამოვიდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ყრილობამ აირჩია საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის აჭარის განყოფილების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია გაზეთ „საბჭოთა აჭარის" რედაქტორი შ. ქურიძე.

აჭარის ჟურნალისტთა ყრილობამ აირჩია საქართველოს ჟურნალისტთა IV ყრილობის დელეგატები.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი მ. ქაჯაია და საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ა. ტაკიძე.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### ტელევიზია

2 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

10.05 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.50 — ქართული მხატვრული ფილმი — „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან", 13.25 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში. 14.30 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — კინონარკვევი, 15.35 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 16.20 — „სოციალისტური ეკონომიკის მეცნიერული მართვის საფუძვლები" (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.50 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.35 — — სპორტული გადაცემა — „მოგზაურის საპორტო", 18.00 — ახალგაზრდული სპორტული ზეიმის ტრანსლაცია „ლოკომოტივის" სტადიონიდან, 19.30 — გადაცემა — „სიჭაბუკე სიბერემდე", 20.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — „შემოქმედებითი პორტრეტები" — ნუცა ჩხეიძე, 21.20 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა, 21.50 მხატვრული ფილმი „წამმზომი", 23.25 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი), შეხვედრის მეორე ნახევარი (ვიდეოჩანაწერი).

მეორე პროგრამით

16.30 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა, 19.30 — განცხადებები, 19.35 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია პოლიტიკურ ეკონომიაში (მეორე კურსელთათვის), 20.40 — მხატვრული ფილმი — „შურისმგებელნი".

### თეატრები

2 ოქტომბერი

**ზ. ფალიაშვილის სახელობის** ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აბესალომ და ეთერი (35-ე აბონ. მე-5 წარმოდგენა); **რუსთაველის სახელობის** სახელმწიფო აკადემიური — მედეა (პრემიერა); **კ. მარჯანიშვილის სახელობის** სახელმწიფო აკადემიური — წმინდანები ჯოჯოხეთში; **ვასო აბაშიძის სახელობის** მუსიკალური კომედიის — სიმღერა თბილისზე.

## ევროპის ჩემპიონები

**სსრ კავშირის** ნაკრების ფრენბურთელმა ქალიშვილებმა იტალიაში, ქალაქ რეჯო-ემილიაში მეშვიდეჯერ მოიპოვეს ევროპის ჩემპიონთა წოდება. ჩემპიონები ისინი ვადამდე გახდნენ, როცა პირველობის უკანასკნელისწინა დღეს დაამარცხეს პოლონელი სპორტსმენები — 3:0 (15:8, 15:6, 15:3).

ასევე შეჯიბრებების დამთავრებამდე ევროპის ჩემპიონები გახდნენ ვაჟებიც, რომლებმაც დაამარცხეს მსოფლიოს უძლიერესი გუნდი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები — 3:0. ჩვენმა გუნდმა მეოთხედ მოიპოვა კონტინენტის ჩემპიონობა.

პრეტენდენტთა ფინალი ბუენოს-აირესში

# ორივეს დევიზია ინიციატივა



**მატჩის პირველი პარტიის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ტ. პეტროსიანი და რ. ფიშერი მიიღო არგენტინის პრეზიდენტმა, რომელმაც თვითეულ მათგანს აჩუქა სპეციალურად ამ შემთხვევისათვის დამზადებული თითო კომპლექტი უნიკალური ჭადრაკი.**

**17 საათზე ადგილობრივი (23 საათზე მოსკოვის) დროით მატჩის მთავარმა მსაჯმა — საერთაშორისო გროსმაისტერმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ლოტარ შმიდტმა ჩართო საათი. ვილფრედ დორაზილმა, რომელიც თავდაპირველად დანიშნული იყო მატჩის მსაჯად, ვერ შეძლო მატჩზე ჩამოსვლა. რადგან სამუშაოზე იყო დაკავებული — იგი ავსტრიის უმაღლესი სასამართლოს წევრია. ფიდეს პრეზიდენტმა პროფესორმა მ. ეივემ ფიშერისა და პეტროსიანის თანხმობით სთხოვა ლ. შმიდტს მსაჯობა გაეწია მატჩისათვის. საპატიო მიწვევის მომენტისათვის დასავლეთგერმანელ გროსმაისტერს უკვე ნათამაშევი ჰქონდა პირველი პარტია თავისი ქვეყნის ჩემპიონატში...**

**რ. ფიშერი (აშშ) —**
**ტ. პეტროსიანი (სსრკ)**
I პარტია

1. e4...

ბევრი პროგნოზი გამოთქვა მატჩის თამაშზე. ერთ რამეში ყველა სპეციალისტი ერთსულოვანი იყო: თუ ფიშერი თეთრებით ითამაშებს, მისი პირველი სვლა სწორედ ასეთი იქნება.

1. ... c5

საბჭოთა გროსმაისტერი ირჩევს აგრესიულ დებიუტს.

2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ:d4 მc6 5. მb5 d6 6. კf4 e5 7. კe3 მf6 8. კg5 კe6.

მთელი ეს ვარიანტი გულდასმით იქნა შემოწმებული ფიშერ-ტაიმანოვის მატჩში. აქ შავებით თამაშობდნენ 8. ... ლa5+ (?) 9. ლd2 მ:e4 10. ლ:a5 მ:a5 11. კe3 მd7 12. მ1c3! მ:c3 13. მ:c3 და თეთრებმა შეწირული პაიკისათვის განავითარეს სწრაფი ინიციატივა. არადამაკმაყოფილებელია 8. ...a6 9. კ:f6 gf 10. მ5c3 f5 11. ლh5! ინიციატივით.

9. მ1c3 a6 10. კ:f6 gf 11. მa3 d5 (!)

ალბათ, ეს შინ განუსჯია ტ. პეტროსიანს. რამდენადაც მახსოვს, ამ მდგომარეობაში ასეთი სვლა ჯერ არ ყოფილა. ა. როშალმა — ყოველკვირეულ „64"-ის პასუხისმგებელმა მდივანმა, რომელსაც გუშინ ტელეფონით ვესაუბრე, თქვა, მ. ტაიმანოვის სეკუნდანტი გროსმაისტერი ე. ვასიუკოვი ამტკიცებს, ფიშერს დიდი ხნის წინათ ჰქონდა განხილული ასეთი შესაძლებლობაო. ამრიგად, სავსებით შესაძლებელია, რომ „სიახლე" მოულოდნელი არ აღმოჩენილა ამერიკელისათვის.

12. ed...

თეთრებს უპირატესობას არ ანიჭებს 12. მ:d5 კ:a3 13. ba f5!

12. ... კ:a3 13. ba ლa5 14. ლd2 0—0—0

დიახ! ცოტა ვინმე თუ ელოდა, რომ ტ. პეტროსიანი შავებით თამაშისას ასეთ თავბრუდამხვევ ბრძოლის შეეცდებოდა.

15. კc4 ეhg8 16. ეd1...

ბრძოლის კულმინაციური მომენტია. პეტროსიანმა აქ, ჩემი აზრით, გაუბედავად ითამაშა

16. ...კf5 (?)

პოზიციის მიხედვით აქ უფრო გაბედული იქნებოდა 16. ... ე:g2 გართულებანი, რომლებიც ამით წარმოიშობა, საინტერესოა. მაგალითად, 17. მe4 კg4 18. ლ:a5 მ:a5 19. კe2 კ:e2 20. მფ:e2 ეg6 დაახლოებით თანაბარი თამაშით. შესაძლოა, ფიშერი აპირებდა 16. ... ე:g2-ის პასუხად ეთამაშნა 17. ლe3 (!) 17. ... მd4-ის შემდეგ 18. მფf1 მ:c2 19. ლf3 და თეთრები უპირატესობას ინარჩუნებდნენ. 17. ... კg4 18. მფf1! კ:d1 19. მფ:g2 ეg8+ 20. მფf1-ის შემდეგაც შავებს ძნელი პოზიცია ექმნებათ. საინტერესო შესაძლებლობა წამოაყენა ქართველმა ოსტატმა თ. გიორგაძემ 17. ...ეg4 (!) და თუ 18. კb3 მაშინ 18. ...ეd4! ან 18. კe2 მd4!

ვფიქრობ, რომ ამ პოზიციის ანალიზი დააინტერესებს გაზეთის მკითხველებს.

17. კd3!

იქმნება შთაბეჭდილება, რომ თეთრებმა ხელთ იგდეს ინიციატივა.

17. ...კ:d3 18. ლ:d3 მd4

არ შეიძლება 18. ... ე:g2, რადგან 19. ლh3+ მფb8 20. dc.

19. 0—0 მფb8 20. მფh1 ლ:a3 21. f4! ეc8 22. მe4 ლ:d3 23. cd ეc2 24. ეd2 ე:d2 25. მ:d2 f5 (?)

პასუხსაგები და, ვფიქრობ, მცდარი გადაწყვეტილებაა. აქ უფრო მიზანშეწონილი იყო 25. ...ეc8 საინტერესო კონტრთამაშით.

26. fe ეe8 27. ეe1 მc2 28. ეe2 მd4

ეტყობა, თავის 25-ე სვლას რომ აკეთებდა, პეტროსიანს მხედველობაში ჰქონდა სწორედ ასეთი შესაძლებლობა.

აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ მომენტში მან ყაიმი შესთავაზა ფიშერს...

29. ეe3 მc2 30. ეh3! ე:e5 31. მf3 ე:d5 32. ე:h7

თავდაპირველი ანალიზი გვიჩვენებს, რომ შავებს ყაიმის მისაღწევად გარკვეული ტექნიკური სიძნელეები მოელით.

32. ...ე:d3 33. h4 მe3?

— ნუთუ ეს ენდშპილი წააგო პეტროსიანმა? — შევეკითხე როშალს.

— საინტერესოა, რომ ზუსტად ასეთია ვასიუკოვის რეაგირება.

რასაკვირველია, ვთქვი მე, აქ საჭირო იყო შეეთავაზებინა მხედრების გაცვლა 33. ...მd4 სვლით. ხომ ერთგვარი გარკვეული აზრი აქვს ნახევრადსაოხუნჯო აფორიზმს: „ეტლების ყველა ენდშპილი საყაიმოა..." ახლა კი შავები რთული პრობლემების წინაშე ექცევიან. გარდა ამისა, პეტროსიანი უკვე განიცდის მოფიქრებისათვის საჭირო დროის ნაკლებობას.

34. ე:f7 ეd1+ 35. მფh2 ეa1 36. h5 f4

ცაიტნოტი!

37. ე:f4 ე:a2 38. ეe4 მ:g2 39. მფg3 ეa5 40. მe5 **შავები დანებდნენ.**

მატჩის პირველ პარტიას 2.000-ზე მეტი კაცი დაესწრო.

პირველი სამი რიგი „სან მარტინის" მუნიციპალური თეატრისა, ფიშერის მოთხოვნით თავისუფალი იყო. უახლოესი მაყურებლები მოთამაშეთაგან 13-14 მეტრ მანძილზე იყვნენ.

ისინი, ვინც დარბაზში ვერ მოხვდა, ორთაბრძოლის მსვლელობას თვალს ადევნებდნენ თეატრის ფოიეში მოწყობილ უზარმაზარ სადემონსტრაციო დაფებზე.

არგენტინის ტელევიზია ბრძოლის ყველაზე საინტერესო მომენტებს დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა სისტემის მეშვეობით გადასცემს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში.

**ე. გუფელდი,**
საერთაშორისო გროსმაისტერი, „კომუნისტის" საჭადრაკო მიმომხილველი.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93. მრეწველობის — 93-20-34. სოფლის მეურნეობის — 99-62-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-91, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443    უე 03104    საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.